Целью данной работы являлось выявление тех компонентов метаболического синдрома, на которые вальпроевая кислота оказывает большее неблагоприятное воздействие. В исследование были выделены 3 клинические группы: 1) больные эпилепсией, принимающие вальпроевую кислоту (VPA); 2) больные эпилепсией, находящиеся на карbamазепине; 3) контрольная группа здоровых лиц. Для установления метаболического синдрома мы изучили глюкозу, триглицериды и липопротеины высокой плотности в крови, а также артериальное давление и окружность талии. Кроме того, для установления инсулинорезистентности, исследовали инсулин и С-пептид. По нашим данным, лечение вальпроевой кислотой ассоциировано с инсулинорезистентностью и метаболическим синдромом ($p < 0.05$). Вальпроевая кислота неблагоприятно влияет на все компоненты метаболического синдрома. На фоне лечения вальпроевой кислотой, по сравнению с карбамазепином, повышается риск развития таких метаболических нарушений, как гипертриглицеридемия, понижение уровня липопротеинов высокой плотности и центральное ожирение, хотя эти данные лишены статистической достоверности.

VPA THERAPY INFLUENCE ON METABOLIC SYNDROME COMPONENTS

M. Mania¹, L. Javashvil², S. Kasradze³, N. Okujava¹

¹ TSMU Department of Neuromedicine; ² “Clinic Cortex” Ltd.; ³ Institute of Neurology and Neuropsychology

SUMMARY

The purpose of our study was to determine those components of metabolic syndrome, which were most affected during valproic acid (VPA) therapy. The study comprised 3 groups: first group consisted of patients with epilepsy on VPA therapy, second group consisted of patients with epilepsy on carbamazepine (CBZ) therapy and the third group represented healthy controls. Metabolic syndrome was diagnosed according to fasting glucose, TG and HDL, blood pressure and waist circumference. Fasting insulin and C-peptide were analyzed with the aim to determine insulin resistance.

Our results revealed that VPA treatment was associated with metabolic syndrome and insulin resistance ($p < 0.05$). VPA affects each component of metabolic syndrome. VPA treatment leads to more prominent unfavorable metabolic changes as compared to CBZ treatment such as hypertriglyceridemia, low HDL and central obesity, although these results were not statistically significant.

საქ. მეცნ. ეროვნ. აკად. მაცნე, ბიომედ. სერია, 2012, გ. 38, № 1-2

Известия нац. АН Грузии, биомед. серия, 2012, т. 38, № 1-2

Proc. Georgian Nat. Acad. Sci., Biomed. Series, 2012, vol. 38, No 1-2

გალაროის მუზას მიერ იცდული ებული მეტაბოლური დარღვევებისა და ეპილეზისის ურთიერთგავშირი

გ. მანია¹, ლ. ჯაფარვილია², ს. კასრაძე³, ნ. ოკუჯავაძე¹

¹ თსსუ ნეირომედიცინის მიმართულება; ² შპს „კლინიკა კორტექსი“;

³ ნეკროლოგისა და ნეიროფსიქოლოგის ინსტიტუტი

მიღებულია 25.02.2012

მოცემულ სტატიაში განხილულია ვალპროის მუავათი ინდუცირებული მეტაბოლური დარღვევების კავშირი მუზნალობის ხანგრძლივობასთან, პრეპარატის დოზასთან, ასევე ეპილეზისის ფორმასთან. გარდა ამისა, ვალპროის მუავას გაელენა მეტაბოლიზმზე შედარებულია კარბამაზეპინის მეტაბოლურ ეფექტებთან.

კელევაში ერთმანეთთან შევადარეთ ვალპროის მუავათი მონოთერაპიაზე მყოფი ეპილეზისით ($n = 26$), კარბამაზეპინით მონოთერაპიაზე მყოფი ეპილეზისით დაავადებული პაციენტებით ($n = 28$) და ჯანმრთელი საკონტროლო პირებით ($n = 25$). შევისწავლეთ გლუკოზა, ინსულინი, C-ჰეპტიდი, მაღალი სიმეტრიის ლიპოპროტეინები და ტრიგლიციდები სისხლში. ჩვენი კელევის შედეგების მიხედვით ვალპროის მუავათი მუზნალობა ასოცირებული იყო ინსულინერზებისტენტრობასთან და მეტაბოლურ სინდრომთან ($p < 0.05$). ვალპროის მუავათი მუზნალობის ხანგრძლივობა გაელენას არ ახდენდა მეტაბოლურ დარღვევებზე პრეპარატის დოზის ზრდის პარალელურად უფრო ხშირად ვლინდებოდა ისეთი მოვლენები, როგორიცაა მომატებული სხეულის მასის ინდექსი, ცენტრალური სიმსუნე, პიპერინსულინემია, ინსულინერზებისტენტრობა და მეტაბოლური სინდრომი, თუმცა მიღებული შედეგები სტატისტიკურად სარწმუნო არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ იდიოპათიური გენერალიზებული ეპილეზისიების დროს მეტაბოლური დარღვევები უფრო ჭარბობდა, ვიდრე ფოკალური ეპილეზისიების დროს, უშაუალოდ ეპილეზისის როლი მეტაბოლური დარღვევების აღმოცენებაში უმნიშვნელოდ. ვალპროის მუავათი მონოთერაპიის და კარბამაზეპინით მონოთერაპიის პრობეში ფოკალური ეპილეზისიების მეტაბოლური დარღვევების ურთიერთშედარების შედეგად ცხადი ხდება, რომ აღნიშნული დარღვევები ვალპროის მუავათი მუზნალობასთან არის დაკავშირებული.

საკვანძო სიტყვები: ვალპროის მუავა, ეპილეზისია, მეტაბოლური სინდრომი, ინსულინერზებისტენტრობა

ვალპროის მუავა ფართოდ გავრცელებული ანტიკონვეულ სიური პრეპარატია, რომელიც უკვე ნახევარი საუკუნეა წარმატებით გამოიყენება როგორც გენერალიზებული, ასევე პარციული ეპილეზისიების მუზნალო-

ბისთვის [16]. გარდა ამისა, პრეპარატმა თავისი ადგილი დაიმკურდნა თავის ტკივილის, ბიპოლარული აშლილობისა და ნეიროპათიური ტკივილის მკურნალობაშიც. მიუხედავად ამისა, პრეპარატის მრავალი გვერდითი მოვლენა გარეულწილად ზღუდავს მის გამოყენებას. გვერდით მოვლენებს შორის ადსანიშნავია ისეთი მეტაბოლური დარღვევები, როგორიცაა მეტაბოლური სინდრომი და პიკერინსულინებია [11, 12, 20, 21].

როგორც მეტაბოლური სინდრომი, ისე ინსულინუზისტენტობა წარმოადგენს გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისა და შაქრიანი დიაბეტის რისკფაქტორს [18, 22]. De Simone-ს მონაცემებით, მეტაბოლური სინდრომი არადიაბეტიან პირებს შორის კარდიოვასკულური დაავადებების რისკს 30-40%-ით ზრდის [4].

არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმად ეპილეფსია თავად წარმოადგენს სხევადასხვა ენდოკრინული და მეტაბოლური დარღვევების საფუძველს. ასე, მაგალითად, არა ერთი კელუვა ადასტურებს, რომ სასქესო პორმონული დარღვევები და უნაყოფობა ხშირად ასოცირდება ეპილეფსიასთან [1, 2, 9, 15, 17, 19]. Daniels-ის კელუვის მიხედვით კი, სიმსუქნე უფრო ხშირად გვხვდება ეპილეფსიით დაავადებულ არანამკურნალებ ბავშვებს შორის, ვიდრე იგივე ასაკის ჯანმრთელ ბავშვებში [3].

მეორე მხრივ შესწავლილია, თუ რა დიდ გავლენას ახდენს ანტიეპილეფსიური მკურნალობა ზემოაღნიშნულ პორმონულ და მეტაბოლურ დარღვევებზე [8, 10, 12, 14, 17]. დადგენილია, რომ ვალპროის მჟავათი მკურნალობა ასოცირებულია სიმსუქნესთან, პიკერინსულინებისთან, დისლიპიდემიასთან და სხვა სახის მეტაბოლურ დარღვევებთან. თუმცა, გაურკვეველი რჩება ვალპროის მჟავას დოზისა და მკურნალობის ხანგრძლივობის გავლენა აღნიშნულ მეტაბოლურ დარღვევებზე. დღეისთვის არსებული კელუვების შედეგები ურთიერთსაწინააღმდეგვრა [6, 7, 11].

კლევის მიზანი: მოცემულ სტატიაში განხილულია ვალპროის მჟავას მიერ ინდუცირებული მეტაბოლური დარღვევების კავშირი მკურნალობის ხანგრძლივობასთან, პრეპარატის დოზასთან, ასევე ეპილეფსიის ფორმასთან. გარდა ამისა, ვალპროის მჟავას მეტაბოლური გავლენა შედარებულია კარბამაზეპინის მეტაბოლურ ეფექტებთან.

მასალა და მეთოდები

ჩვენ ჩავატარეთ ჯვარედინ-სექციური კვლევა, სადაც გამოვყავით 3 საკვლევი ჯგუფი. კვლევაში ჩაერთო 20-დან 50 წლამდე ასაკის 79 პირი. მათგან 26 პირი წარმოადგენდა ეპილეფსიით დაავადებულ პაციენტს, რომელსაც უტარდებოდა მკურნალობა ვალპროის მჟავათი (ვალპროის მჟავას ჯგუფი). 28 ეპილეფსიით დაავადებული პაციენტი მკურნალობდა კარბამაზეპინით (კარბამაზეპინის ჯგუფი), ხოლო 25 პირი შეადგენდა ჯანმრთელ საკონტროლო ჯგუფს. მეტაბოლური სინდრომის დასადგენად გამოყენებულ იქნა ATP III დიაგნოსტიკური კრიტერიუმები [5]. ინსულინრეზისტენტობა განისაზღვრებოდა HOMA-2-ის კომპიუტერული მოდელის საფუძველზე [13]. გამოსაკვლევი პირების პლაზმაში შევისწავლეთ

მაღალი სიმკრივის ქოლესტერინი, ტრიგლიცერიდები, გლუკოზა, ინსულინი და C-პეპტიდი უზმოსე. დავადგინეთ ანთროპომეტრული მონაცემები: სხეულის მასის ინდექსი და წელის გარშემოწერილობა.

ჰილეფსიის ფორმა (ფოკალური, გენერალიზებული) განისაზღვრებოდა ანამნეზის, გულყრების სემიოლოგიისა და ენცეფალოგრაფიული მონაცემების საფუძველზე. ანტიგპილეფსიური მჯურნალობა ხანგრძლივობის მიხედვით პირობითად დავავით 3 კატეგორიად: ხანმოკლე მჯურნალობა – 2 წლამდე, საშუალო ხანგრძლივობის მჯურნალობა – 2-4 წლი და ხანგრძლივი მჯურნალობა – 4 წელზე მეტი. კვლევაში ჩართული პაციენტების მჯურნალობის მინიმალური ხანგრძლივობა 4 ოჯეს შეადგენდა. პირობითი დაყოფა შემოვიდეთ ასევე პრეპარატების დოზებთან მიმართებაში (ცხრილი 1).

მიღებული მონაცემები დამუშავდა SPSS-ის კომპიუტერული პროგრამით. სარწმუნობის კოეფიციენტი – $p < 0.05$ -ზე.

ცხრილი 1

ანტიკონვულსიური მჯურნალობის პირობითი დაყოფა დოზების მიხედვით

პრეპარატი	დაბალი დოზა (მგ)	საშუალო დოზა (მგ)	მაღალი დოზა (მგ)
ვალპროის მევავა	< 900	900-1200	>1200
კარბამაზეპინი	< 600	600-800	>800

უდეგები და გათი განცილვა

54 პაციენტები იდიოპათიური გენერალიზებული ჰილეფსია აღნიშნებოდა 13-ს, ხოლო ფოკალური გპილეფსია – 41-ს. ფოკალური ფორმებიდან 25 შემთხვევაში გამოვლინდა სიმპტომური ფოკალური ეპილეფსია, ხოლო 16 შემთხვევაში – კრიპტოგენური ფოკალური ეპილეფსია. ვალპროის მევავას ჯგუფში გაერთიანებული 26 პაციენტიდან 13-ს აღნიშნებოდა გენერალიზებული ეპილეფსია, ხოლო დარჩენილი 13 პაციენტი მჯურნალობდა ფოკალური ეპილეფსის დიაგნოზით.

მჯურნალობის ხანგრძლივობისა და ანტიკონვულსიური პრეპარატების დოზების მიხედვით პაციენტების გადანაწილება მოყვანილია ცხრილში 2.

ცხრილი 2

პაციენტების გადანაწილება ანტიკონვულსიური პრეპარატების დოზებისა და მჯურნალობის ხანგრძლივობის მიხედვით

პრეპარატი	დოზირება			ხანგრძლივობა		
	დაბალი	საშუალო	მაღალი	ხანმოკლე	საშუალო	ხანგრძლივი
ვალპროის მევავა	4 (15.4%)	16 (61.5%)	6 (23.1%)	6 (23.1%)	6 (23.1%)	14 (53.8%)
კარბამაზეპინი	2 (7.1%)	22 (78.6%)	4 (14.3%)	3 (11.5%)	4 (15.4%)	19 (73.1%)

ჩვენი კვლევის შედეგების მიხედვით, ვალპროის მჟავათი მკურნალობა ასოცირებულია მეტაბოლურ სინდრომთან და ინსულინრეზისტენტობასთან კარბამაზეპინით მკურნალობისაგან განსხვავებით (ცხრილი 3).

ცხრილი 3

სიმსუქნის, ინსულინისა და მეტაბოლური სინდრომის მაჩვენებლები
საკვლევ ჯგუფებში

ჯგუფი	$\text{სე0} \geq 30$ $\text{კგ}/\text{მ}^2$	ცენტრალური სიმსუქნე	პიპერ- ინსულინზებია რეზისტენტობა	ინსულინ- რეზისტენტობა	მეტაბოლური სინდრომი
ვალპროის მჟავას ჯგუფი	6/26 (23.1%)	9/26 (34.6%)	5/26 (19.2%)	8/26 (30.8%)	9/26 (34.6%)
კარბამაზეპინის ჯგუფი	5/28 (19%)	6/28 (21.4%)	3/28 (10.7%)	2/28 (7.1%)	4/28 (14.3%)
საკონტროლო ჯგუფი	3/25 (12%)	3/25 (12%)	3/25 (12%)	3/25 (12%)	3/25 (12%)
P-მნიშვნელობა	არასარ- წმუნოა	< 0.05	არასარ- წმუნოა	< 0.05	< 0.05

სე0 – სხეულის მასის ინდექსი

ვალპროის მჟავათი მკურნალობის ხანგრძლივობა არ კორელირებდა ჩვენ მიერ შესწავლისას არც ერთ მეტაბოლურ ფაქტორთან. მართალია, სხეულის მასის ინდექსი მატულობდა მკურნალობის ხანგრძლივობის შესაბამისად, მაგრამ ეს მაჩვენებლები სტატისტიკურად სარწმუნო არ იყო. მსგავსი შედეგები იქნა მიღებული კარბამაზეპინის შემთხვევაშიც: არც ერთი მეტაბოლური ფაქტორის კავშირი მკურნალობის ხანგრძლივობასთან არ იყო სტატისტიკურად სარწმუნო. ადსანიშნავია, რომ კარბამაზეპინით მკურნალობის პირობებში როგორც ინსულინრეზისტენტობის, ასევე მეტაბოლური სინდრომის შემთხვევები გამოვლინდა მხოლოდ და მხოლოდ 4 წელზე უფრო ხანგრძლივი მკურნალობის დროს, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს დაღმატებოდა 0.05-ს.

პრეპარატების დოზების მიხედვით ჩატარებული ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ როგორც ვალპროის მჟავას, ასევე კარბამაზეპინის დოზის მატების პარალელურად ისრდება სხეულის მასის ინდექსი, ცენტრალური სიმსუქნე, პიპერინსულინემია, ასევე ინსულინრეზისტენტობისა და მეტაბოლური სინდრომის შემთხვევები, თუმცა ეს მონაცემებიც მოკლებული აღმოჩნდა სტატისტიკურ სარწმუნობას.

ამგვარად, ჩვენი კვლევის შედეგების მიხედვით, ანტიკონვულსიური თერაპიის დოზირება უფრო მეტად კორელირებს მეტაბოლურ დარ-

დევებთან, ვიდრე მკურნალობის ხანგრძლივობა, თუმცა მიღებულია შედეგები სტატისტიკურად არასარწმუნოა.

გენერალიზებული ეპილეფსიის მქონე 13 პაციენტიდან მეტაბოლური სინდრომი აღენიშნებოდა 5-ს (38.5%), მაშინ როცა 41 ფოკალური ფორმიდან მეტაბოლური სინდრომი გამოვლინდა მხოლოდ 8 (19.5%) შემთხვევაში ($p < 0.05$). მეტაბოლური სინდრომის გავრცელების მიხედვით, იდიოპათიურ ფორმებს (38.5%) მოსდევდა კრიპტოგენური ფორმები (25%), ხოლო ბოლო ადგილს იკავებდა სიმპტომური ეპილეფსია (16%). რაც შეეხება ინსულინრეზისტენტობას, ეს მეტაბოლური გადახრაც უფრო ხშირი აღმოჩნდა გენერალიზებული ეპილეფსიით დაავადებულ პაციენტებს შორის (38.5%), ფოკალურ ეპილეფსიებთან შედარებით (12.5%) ($p < 0.05$). იდიოპათიურ ფორმებს შორის ინსულინრეზისტენტობა გამოვლინდა 38.5% შემთხვევაში, სიმპტომურ ფორმებს შორის – 12%-ში, ხოლო კრიპტოგენურ ფორმებს შორის – 12.5%-ში.

ამგვარად, ეპილეფსიის ფორმების მიხედვით ჩატარებული ანალიზის შედეგად აშეკარად გამოიკვეთა მეტაბოლური დარღვევების ასოციაცია გენერალიზებულ ეპილეფსიებთან, რაც სტატისტიკურად სარწმუნო იყო. ასეთი შედეგის გამო გაჩნდა კითხვა: მეტაბოლური დარღვევების კავშირი გენერალიზებულ ეპილეფსიებთან იმით ხომ არ აისხება, რომ ჩვენს პლევაში ჩართული გენერალიზებული ეპილეფსიის მქონე ყველა პაციენტი ვალპროის მეტაბოლურის მქონე პაციენტები გადანაწილებული იყო როგორც ვალპროის მეტაბოლიზმი, ასევე კარბამაზეპინის ჯგუფში? ასეთი შედეგი მართლაც გენერალიზებულ ეპილეფსიას უნდა მიეწეროს, თუ ეს ვალპროის მეტაბოლური გავლენაა?

ამ მიზნით, ერთმანეთს შევადარეთ მხოლოდ და მხოლოდ ის პაციენტები, რომლებიც ვალპროის მეტაბოლობდნენ. როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ვალპროის მეტაბოლიზმი ჯგუფში 26 პაციენტიდან 13-ს აღნიშნებოდა გენერალიზებული ეპილეფსია, ხოლო დარჩენილ 13-ს – ფოკალური. მათი ურთიერთშედარებით მივიღეთ შემდეგი მონაცემები: გენერალიზებულ ეპილეფსიებს შორის მეტაბოლური სინდრომი შეადგენდა 38.5%-ს, ხოლო ფოკალურ ეპილეფსიებს შორის – 30.8%-ს. იდიოპათიურ ეპილეფსიებზე მოდიოდა მეტაბოლური სინდრომის 38.5% შემთხვევა, სიმპტომურ ეპილეფსიებზე – 33.3%, ხოლო კრიპტოგენურ ეპილეფსიებზე – 28.6%. რაც შეეხება ინსულინრეზისტენტობას, ვალპროის მეტაბოლური განვითარების პირობებში გენერალიზებულ ეპილეფსიებს შორის მისი გაგრცელება 38.5%-ს შეადგენდა, ხოლო ფოკალურ ეპილეფსიებს შორის – 23.1%-ს. იდიოპათიურ ფორმებს შორის ინსულინრეზისტენტობა ვლინდებოდა 38.5% შემთხვევაში, სიმპტომურ ფორმებს შორის – 33.3%-ში, ხოლო კრიპტოგენურ ფორმებს შორის – 14.3%-ში.

ამგვარად, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ვალპროის მეტაბოლიზმი გავლენის სინდრომი გვხვდება 34.6% შემთხვევაში, ხოლო ინსულინრეზისტენტობა – 30.8% შემთხვევაში. რაც შეეხება ვალპროის მეტაბოლიზმი გენერალიზებული ფორმის ეპილეფსიების ქავჯგუფს, აქ

მეტაბოლური სინდრომი და ინსულინრეზისტენტობა შედარებით უფრო ხშირი ადომინდა, ვიდრე მთლიანად ვალპროის მჟავას ჯგუფში და 38.5% შეადგინა თითოეული მეტაბოლური დარღვევებისთვის. მართალია, სხვაობა არც თუ ისე დიდია, მაგრამ მაინც გვაძლევს საფუძველს ვივარაუდო, რომ განერალიზებული ფორმის ეპილეფსიების დროს პაციენტი შესაძლოა უფრო მეტად იყოს მიღრებისადმი, ვიდრე ფორმალური ეპილეფსიების დროს.

ამის შემდეგ გადავწყვიტეთ შეგვედარებინა მეტაბოლური დარღვევების გავრცელება ვალპროის მჟავას ჯგუფის ფოკალური ფორმის ეპილეფსიებისა და კარბამაზეპინის ჯგუფის ფოკალური ფორმის ეპილეფსიების შორის. აღმოჩნდა, რომ კარბამაზეპინის ჯგუფის ფოკალური ეპილეფსიების დროს მეტაბოლური დარღვევების გავრცელება (მეტაბოლური სინდრომი – 14.3%, ინსულინრეზისტენტობა – 7.1%) მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა ვალპროის მჟავას ჯგუფის ფოკალური ეპილეფსიების დროს მეტაბოლურ დარღვევებს (მეტაბოლური სინდრომი – 30.8%, ინსულინრეზისტენტობა – 23.1%). ამდენად, მიღებული შედეგი ნათელს ხდის, რომ უდავო ვალპროის მჟავას ორლი მეტაბოლური დარღვევების განვითარებაში. მართალია, განერალიზებულ ეპილეფსიებთან დაკავშირებით გაჩენილი ვარაუდი კვლავაც რჩება, თუმცა, ზემოთ მოყვანილი შედეგების ფონზე, სადაც ვალპროის მჟავას მეტაბოლური გავლენა აშკარად ვლინდება, ეპილეფსიების ფორმის გავლენა მეტაბოლურ დარღვევებზე ყურადღებას არ იპყრობს. ამგვარად, მეტაბოლური დარღვევები უფრო მჭიდროდ არის ასოცირებული ვალპროის მჟავასთან, ვიდრე ეპილეფსიის ფორმასთან.

დასკვნა

კვლევის შედეგების მიხედვით ვალპროის მჟავათი მკურნალობა ასოცირებულია მეტაბოლურ სინდრომთან და ინსულინრეზისტენტობასთან. დისმეტაბოლური დარღვევები არ კორელირებდა მკურნალობის ხანგრძლივობასთან, თუმცა გამოვლინდა ვალპროის მჟავას დოზაზე დამოკიდებულების ტენდენცია. მოუხედავად იმისა, რომ იდიოპათიური გენერალიზებული ეპილეფსიების დროს მეტაბოლური დარღვევები შედარებით უფრო ჭარბობდა, ვიდრე ფოკალური ეპილეფსიების დროს, უშუალოდ ეპილეფსიის როლი მეტაბოლური დარღვევების აღმოცენებაში უმნიშვნელოდ. ვალპროის მჟავათი მონოთერაპიის და კარბამაზეპინით მონოთერაპიის პირობებში ფოკალური ეპილეფსიების მეტაბოლური დარღვევების ურთიერთშედარების შედეგად ცხადი ხდება, რომ აღნიშნული დარღვევები ვალპროის მჟავათი მკურნალობასთან არის დაკავშირებული.

ლიტერატურა

1. Bilo L., Meo R., Nappi C. et al. Epilepsia, 1988, 29:612-619.
2. Bilo L., Meo R., Valentino R., Carlo Di C., Stariano S., Nappi C. J. Clin. Endocrinol. Metab., 2001, 86: 2950-2956.

3. Daniels Z.S., Nick T., Liu C., Cassedy A., Glauser T.A. Neurology, 2009, 73, 9, 658-664.
4. De Simone G., Devereux R.B., Chinali M. et al. Diabetes Care, 2007, 30(7), 1851-1856.
5. Expert Panel on Detection, Evaluation, and Treatment of High Blood Cholesterol in Adults. Executive summary of the third report of the National Cholesterol Education Program (NCEP). (Adult Treatment Panel III). J. Am. Med. Assoc., 2001, 285(19), 2486-2497.
6. Greco R., latini G., Chiarelli F., Lannetti P., Verrotti A. Neurology, 2005, 65, 11, 1808-1809.
7. Hamed S.A., Fida N.M., Hamed E.A. Eur. J. Paediatr. Neurol., 2009, 13(3), 261-268.
8. Herzog A.G., Drislane F.W., Schomer D.L. et al. Neurology, 2005, 65, 1016-1020.
9. Herzog A.G., Seibel M.M., Schomer D., Vaitukaitis J.L., Geshwind N. Arch. Neurol., 1986, 43:341-346.
10. Isojärvi J.I., Rattyä J. et al. Ann. Neurol., 1998, 43:446-451.
11. Luef G.J., Lechleitner M., Bauer G., Trinka E., Hengster P. Epilepsy Res., 2003, 55, 53-58.
12. Mania M., Javashvili L., Kasradze S., Okujava N. Georgian Med. News, 2011.
13. Matthews D.J., Hoskers J.P., Rudenski A.S., Waylur B.A., Trencher D.Y., Turner R.C. Diabetologia, 1985, 28, 412-419.
14. Morrell M.J., Flynn K.L., Done S. et al. Epilepsy Behav., 2005, 6, 360-365.
15. Nappi C., Meo R., Di Carlo, Estraneo A., Bilo L. Gynecol. Endocrinol., 1994, 8(2), 133-145.
16. Panayiotopoulos C.P. A clinical guide to epileptic syndromes and their treatment. 2nd ed. London, Springer, 2007.
17. Pennell P.B. Neurol. Clin., 2009, 27(4), 941-965.
18. Saely C.H., Aczel S., Marte T. et al. J. Clin. Endocrinol. Metab., 2005, 90(10), 698-703.
19. Schupf N., Ottman R. Epilepsia, 1996, 37:833-840.
20. Verrotti A., Ia Torre R., Trotta D., Mohn A., Chiarelli F. Horm. Res., 2009, 71(3), 125-130.
21. Verrotti A., Manco R., Agostinelli S., Coppola G., Chiarelli F. Epilepsia, 2010, 51(2), 268-273.
22. Wannamethee S.G., Shaper A.G., Lennon L. et al. Arch. Intern. Med., 2005, 165(22), 2644-2650.

ВЗАИМООТНОШЕНИЕ МЕЖДУ МЕТАБОЛИЧЕСКИМИ НАРУШЕНИЯМИ, ВЫЗВАННЫМИ ВАЛЬПРОЕВОЙ КИСЛОТОЙ И ЭПИЛЕПСИЕЙ

М. Мания¹, Л. Джавашвили², С. Касрадзе³, Н. Окуджава¹

¹ ТГМУ Департамент нейромедицины; ² ООО “Клиника Кортекс”; ³ Институт неврологии и нейropsихологии

РЕЗЮМЕ

Целью данной работы являлось установление связи индуцированных вальпроатом метаболических нарушений с продолжительностью лечения, дозой препарата и типом эпилепсии. Были сравнены метаболические отклонения при лечении вальпроевой кислотой и карбамазепином, также было изучено возможное влияние на метabolизм эпилепсии как таковой. Были выделены 3 клинические группы: пациенты, принимающие вальпроевую кислоту ($n = 26$), пациенты, принимающие карбамазепин ($n = 28$) и здоровые лица ($n = 25$). Изучали показатели инсулина, С-пептида, глюкозы, триглицеридов и липопротеинов высокой плотности в крови. По результатам нашего исследования, лечение вальпроевой кислотой ассоциировано с инсулинрезистентностью и метаболическим синдромом ($p < 0.05$). Продолжительность лечения не влияет на метаболические нарушения. Хотя, на фоне лечения высокими дозами вальпроевой кислоты чаще выявлялось центральное

ожирение, повышенный индекс массы тела, гиперинсулинемия, инсулинерезистентность и метаболический синдром. Эти данные являлись статистически достоверными. При лечении вальпроевой кислотой метаболические нарушения встречались чаще среди пациентов с идиопатической генерализованной эпилепсией, чем с фокальной эпилепсией. Но результаты нашего исследования указывают, что сама эпилепсия не играет значительную роль в развитии метаболических нарушений. Сравнивая фокальные эпилепсии на фоне монотрапии вальпроевой кислотой и карbamазепином, мы убедились, что эти нарушения в действительности связаны с вальпроевой кислотой.

INTERRELATIONSHIP BETWEEN VALPROIC ACID INDUCED METABOLIC DISTURBANCES AND EPILEPSY

M. Mania¹, L. Javashvili², S. Kasradze³, N. Okujava¹

¹ TSMU Department of Neuromedicine; ² “Clinic Cortex” Ltd.; ³ Institute of Neurology and Neuropsychology

SUMMARY

The purpose of our study was to establish the correlation of valproate induced metabolic disorders with dosage, duration of treatment and with the type of epilepsy. The metabolic influence of valproate and carbamazepine was compared. Also the possible role of epilepsy itself on the development of metabolic disturbances was investigated. Three groups were compared in the study: patients on VPA monotherapy ($n = 26$); patients on carbamazepine (CBZ) monotherapy ($n = 28$) and 25 healthy controls. Fasting glucose, insulin, C-peptide, triglycerides and high density lipoproteins in blood were determined. According to our study, VPA treatment is associated with metabolic syndrome and insulin resistance ($p < 0.05$). The duration of treatment had no influence on metabolic disturbances. Although high BMI, central obesity, hyperinsulinemia, insulin resistance and metabolic syndrome was more common among patients on high VPA dosage, the data were not statistically significant. Metabolic disturbances were slightly more frequent among patients with idiopathic generalized epilepsy than focal epilepsy, but our results suggested that epilepsy itself did not play an important role in metabolic disturbances. Comparing focal epilepsies on CBZ and VPA monotherapy we ascertained the fact that aforementioned disturbances were induced by VPA.

თაოთორაპის პიონერული პიროვნეული სახსრების სინდრომის ღრმს

თ. მოსულიშვილი, გ. ლომოვა, ხ. საგანგელიძე

პ. შოთაძის სახ. თბილისის სამედიცინო აკადემია

მიღებულია 17.02.2012

ნაშრომში დასაბუთებულია ცხენოსნობის ბიომექანიკის, როგორც კეთილთვისებიანი პიპერმობილური სახსრების სინდრომის (ქსს) მკურნალობისა და პროფილაქტიკის პათოგენეზური მეთოდის არსი. მოწოდებულია იპოთერაპიის მეთოდისა და შესწავლილია მისი უფექტურობა ქსს-ის კორექციაში. მიღებული შედეგების საფუძველზე დადგენილია, რომ იპოთერაპია ხელს უწყობს სახსრებში რეკურვაციის შემცირებას, სახსრების ირგვლივ მყენების დაჭიმულობისა და მოსალოდნელი დაზიანებების თავიდან აცილებას, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასა და მეორადი გართულებების პრევენციას.

საკვანძო სიტყვები: ბიომექანიკა, კეთილთვისებიანი პიპერმობილური სახსრების სინდრომი, იპოთერაპია, რეკურვაცია, კორექცია

შრომის მიზანი იყო დაგვესაბუთებინა ცხენოსნობის ბიომექანიკის არსი, როგორც კეთილთვისებიანი პიპერმობილური სახსრების სინდრომის მკურნალობისა და პროფილაქტიკის პათოგენეზური მეთოდი.

ცხენზე ჯდომა რთული ბიომექანიკური პროცესია, რადგან საჭიროა ორ ცოცხალ არსებას შორის (მხედარი, ცხენი) მუდმივი ურთიერთებურებების არსებობა სინქრონული მოძრაობის სახით. ცხენის სხვადასხვა ალურის (ნაბიჯი, ჩორთი, ნავარდი) დროს მისი ზურგიდან წარმომობილი სხვადასხვა სისტერის სამგანზომილებიანი (x , y , z) რხევები გადაცემა მხედარს, რომელმაც სწორი მოტორული პასუხი უნდა გასცეს ცხენის ნებისმიერ მოძრაობას. ნებისმიერ ალურზე საჭიროა ცხენისა და მხედრის სიმძიმის ცენტრები ერთმანეთს ემთხვეოდეს [1-4] იმისთვის, რომ, ერთი მხრივ, თავიდან იქნეს აცილებული ცხენიდან გადმოვარდნის საშიშროება, ხოლო, მეორე მხრივ, ცხენმა თავისუფლად, შეუბოჭავად იმოძრაოს და მისი მართვა იოლი გახდეს.

დადგენილია, რომ ცხენის ნაბიჯით სელის დროს მხედრის ტანი ასრულებს ისეთივე მოძრაობებს, როგორსაც ქვეითი სიარულის დროს – ორ პირიზონტალურ და ერთ ვერტიკალურ სიბრტყეში.

Сінар'яллю іс დროს ფრონტალ'յур ხიბრტყეში სრულდება მენჯინ და ხერხემლის რთული მოძრაობები, უპіრატესად ნаბიჯіс თრісауэрდеніна პეріодішо. დროის ამ ცირკ მონაკვეთში ხდება მენჯის მოძრაობის სრული მოქნევა. მენჯი იხრება იმ ფეხის მხარეს, რომელიც უკან რჩება, გულმკერდის ხერხემლის ნაწილი კი გადაიხრება წინ გადადგმული ფეხის მიმართულებით [3, 4]. ამ მოძრაობების დროს ხერხემლის ფორმა იცვლება: თრісауэрდеніна მოძრაობის დასაწყისში ის იდებს S-ს ფორმას, ხოლო ბოლოს – C-ს ფორმას.

ხერხემლის ცალკეული სეგმენტების კინემატიკის შედარებით დადგინდა, რომ ხერხემლის ფორმა წელის ნაწილის ხარჯზე იცვლება, რომელიც, ერთი მხრივ, საშუალებას აძლევს მენჯს შეასრულოს სიარულის თვის აუცილებელი მოძრაობები, ხოლო, მეორე მხრივ, ხერხემალს ვერტიკალურ მდგომარეობას უნარჩუნებს.

ცენტზე ჯდომის დროს მხედრის ქვედა კიდურების ფუნქციას ასრულებს ცხენის ფეხები, მენჯი უშუალო კონტაქტშია ცხენის ზურგთან (უნაგირთან) და მისი მაქსიმალური ბრუნვითი მოძრაობა, ქვეითის სიარულის მსგავსად, საშუალოდ შეადგენს 8° , გულმკერდის მაღებში კი – D2 – 6° , D11 – 3° . იგივე მაღები მენჯთა მიმართებაში გადაადგილდებიან 12° -ით.

მხედრის პოზა, ანუ საწყისი მდგომარეობა ცხენის ნაბიჯის, ჩორთის, თუ სამანეულ ნავარდის დროს გულისხმობს: მხედარი იჯდეს ორივე საჯდომ ძვალზე უნაგირის კველაზე დრმა ნაწილში; ბარძაყების მედიალური მხარეები მჭიდროდ ეკვროდეს უნაგირს; საჯდომის, ბარძაყებისა და მუხლების სწორი მდებარეობისას შენკელი საჭიროებისამებრ ეკვროდეს ცხენის სხეულს; ქუსლი მდებარეობდეს მხრისა და მენჯბარძაყის სახსარზე გამავალ პერპენდიკულარზე და ოდნავ დახრილი იყოს ქვემოთ; წვივი მსუბუქად ეხებოდეს ცხენის გვერდს; მხედარს თავი ეჭიროს სწორად, იყურებოდეს ცხენის ყურებს შორის; ხელები იყოს თავისუფლად ჩამოშეგული, მოხრილი იდაყვში; მხრები გაშლილი, მკერდი წინ წამოწეული; ორივე მტევანი მოთავსდეს მინდაოსთან ისე, რომ იდაყვი, წინამხარი, ხელის მტევანი, სადაც და ცხენის პირი ერთ სწორ ხაზზე განლაგდეს; უზანგის სიგრძე იყოს ისეთი, რომ უზანგებზე წამოდგომისას მხედარი ერთი მუჭის მანძილზე სცილდებოდეს უნაგირს.

მხედრობის სტატუსისთვის უპირატესად დამახასიათებელია სტატიკურ-დინამიკური ხასიათის დატვირთვა. სტატიკური დატვირთვის უმეტესი ნაწილი მოდის ტორსის, თემის, წევის, ტერფის გამშლელებზე და თემის მომხრელ კუნთებზე, რაც განაპირობებს კუნთების პიპერტროფიას და სახსრების, მყენებისა და იოგების ტროფიის გაუმჯობესებას. ცენტზე ჯდომის დროს მხედრის კუნთებზე და სახსრებზე მუშაობს ერთდორული ზემოქმედების მექანიზმები, რაც აისხება იმით, რომ მათ საერთო ინერვაციის და სისხლის მიმოქვევის წყარო აქვთ.

სხვადასხვა ალურის დროს დატვირთვის ინტენსივობა იცვლება. მაგალითად, ამსუბუქებული ჩორთის დროს სტატიკურ-დინამიკური ხასიათის დატვირთვას განიცდის წელის, იდაყვის, მაჯის, მენჯბარძაყის, მუხლის, კოჭ-წვივის სახსრები და მიმდებარე კუნთები. ამასთანავე, სახსრებში მოძრაობა ძირითადად ვერტიკალურ სიბრტყეში მიმდინარეობს, რაც ხელს უშლის მათ რეკურვაციას.

ყოველივე აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კეთილდოვისებიანი პიპერმობილური სახსრების სინდრომის (პმს) დროს, რადგან იქ-მნება შესაძლებლობა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი გადაჭარბებული მოძრაობის შესაძლებლობა სახსრებში [5, 6], რაც, ერთი მხრივ, თავიდან აგვაცილებს მყენებისა და კუნთვების ზედმეტად გაჭიმვას, ხოლო, მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს მხედრობის სტატუსისთვის აუცილებელი კუნთვების გაძლიერებას, პიპერტროფიას და, შესაბამისად, პმს-ის მკურნალობასა და მეორადად განვითარებული გართულებების თავიდან აცილებას.

ჩვენ მიერ შემუშავებულ იქნა იპოთერაპიის მეთოდიკა პმს-ს მქონე ბავშვებისთვის, რომელიც შედგება ორი ეტაპისგან:

I ეტაპის მიზანია მხედრის სტერეოტიპის შექმნა, ანუ ცხენზე ჯდომის შესწავლა, ე.წ. უნაგირში ჩაჯდომა, რაც პაციენტისგან მოითხოვს ანტიგრავიტაციული სისტემის გადაწყობას ფეხზე დგომიდან ცხენზე ჯდომაზე, უნაგირში წონასწორობის შენარჩუნებას ცხენის ნებისმიერი ალურის დროს და მართვის ელემენტარული ჩვეულების გამომუშავებას. ამ ეტაპზე მეცადინეობები ტარდება ჯერ კოლგიურების, ხოლო გარევაული ჩვეულების გამომუშევების შემდეგ სპორტულ უნაგირზე როგორც კორდის დახმარებით, ისე მის გარეშე. ხანგრძლივობა – 3 თვე, პროცედურების რაოდენობა – 36-40, მეცადინეობის ხანგრძლივობა – 45 წუთი, კვირაში 3-ჯერ.

II ეტაპი – სამკურნალო ცხენოსნობის თერაპიული ტრენირების, ანუ მკურნალობის ძირითადი ეტაპია, რომლის მიზანია: კიდურებისა და ტორსის კუნთვების გაძლიერება, სახსრების სტაბილურობისა და პროპრიორეცეფციის გაუმჯობესება; კუნთსახსროვანი შეგრძნების გამომუშავება, სახსრების რეარგვაციის შემცირება. ხანგრძლივობა შეადგენს 3 თვეს, პროცედურების რაოდენობაა 36-40, მეცადინეობის ხანგრძლივობა – 45 წუთი, კვირაში 3-ჯერ.

მასალა და მეთოდები

კვლევაში ჩართული იყო პმს-ის მქონე 96 ბავშვი, რომლებიც დაყვიდი იყვნენ 2 ჯგუფად. ერთ ჯგუფს უტარდებოდა იპოთერაპია ჩვენ მიერ მოწოდებული მეთოდიკით, ხოლო მეორეს – სამკურნალო ტანგარჯიში დარბაზში.

კირექციის კურსის დაწყებამდე და დამთავრების შემდეგ პაციენტებს უტარდებოდათ საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის მდგომარეობის დადგენა, სახსრების პიპერმობილობის განსაზღვრა ბეიტონის ცხრილით, გონიომეტრია, მიოტონომეტრია (ბარძაყის ოთხთავა, მხრის ორთავა და სამთავა კუნთების მიოტონომეტრია), მუცლის პრესის და ზურგის გამშლელი კუნთების ძალისა და ამტანიანობის განსაზღვრა ფუნქციური ტესტებით.

ჟაღებები და გათი განხილვა

მიღებული შედეგების საფუძველზე სარწმუნო გახდა იპოთერაპიის მაღალეფებზე რობა პმს-ის ძვალ-სახსროვანი სისტემის კლინიკური სიმ-

პტომების კორექციაში: სახსრების პიპერმობილობის განსაზღვრამ შეიტონის ცხრილით გამოავლინა სარწმუნოდ მაღალი გაუმჯობესება ($p < 0.001$) საკონტროლო ჯგუფთან შედარებით; ასევე სარწმუნოდ ($p < 0.001$) მაღალი შედეგები იქნა მიღებული მიოტონომეტრიული კვლევებით (ბარძაყის ოთხთავა, მხრის ორთავა და სამთავა კუნთების მიოტონომეტრია); გონიომეტრით აღინიშნა მუხლის რეკურვაციის შემცირება $66.9\% \pm 2.48$ და $46.5\% \pm 2.72$ ($p < 0.001$); ხერხემლის გაშლელი კუნთების ძალისა და ამტანიანობის ($p < 0.001$) და მუცლის პრესის კუნთების ძალის მატება ($p < 0.001$).

დასკვნა

იპოთერაპიის პროცედურაში ინდივიდუალურად შერჩეული ფიზიკური დატვირთვა კეთილთვისებიანი პიპერმობილური სახსრების სინდრომის მქონე პაციენტებში ხელს უწყობს: სახსრებში რეკურვაციისა და სახსრების ირგვლივ მყესების დაჭიმულობისა და მოსალოდნებლი დაზიანებების შემცირებას ან თავიდან აცილებას; ორგანიზმის მოელი კუნთური სისტემის გაძლიერებას; ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასა და მეორადი გართულებების პრევენციას; ბავშვის ზოგად ფიზიკურ განვითარებასა და ფსიქო-ნევროლოგიური ტონუსის ამაღლებას.

ლიტერატურა

1. წევრავა დ., ლორია გ., რუხაძე გ., იონათამიშვილი ნ., ხაბიძულინი ი. რაიტოვრაპიის ბიომექანიკა. სამეცნიერო მრომათა ქრებული. თბილისი. 1992, გვ. 188-189.
2. წევრავა დ., ლორია გ., რუხაძე გ. სისტემა „მხედარი-ცხენის“ ფიზიოლოგიური საფუძლები და ბიოფიზიკების როლი მის სრულყოფაში. საქ. ფიზიოლოგთა ეროვნულის მასალები. თბილისი, 1995, გვ. 212.
3. Казмин А.И., Конь И.И., Беленький В.Е. Сколиоз. Москва, Мед., 1981, 210 стр.
4. Цверава Д.М. Одновременные телеметрические исследования деятельности сердца всадник и лошади в условиях спортивной тренировки. Методические рекомендации. Всесоюзный Физкомитет. Минздрав СССР, Тбилиси, 1979, 18 стр.
5. Alan Hakim, B. Chir et al. Best Practice & Research Clinical Rheumatology, 2003 17, 6, 989-1004.
6. Seckin U., Sonel Tur B. et al. Rheumatol. Int., 2005, 25, 260-263.

СУЩНОСТЬ БИОМЕХАНИКИ ИППОТЕРАПИИ ПРИ ДОБРОКАЧЕСТВЕННОМ ГИПЕРМОБИЛЬНОМ СИНДРОМЕ СУСТАВОВ

T. Мосулишвили, М. Лория, Х. Саганелидзе

Тбилисская медицинская Академия им. П. Шотадзе, Грузия

РЕЗЮМЕ

В работе рассмотрена биомеханика верховой езды как патогенетический метод лечения и профилактики при доброкачественном гипермобильном синдроме суставов (ДГМС). Разработана методика иппотерапии. Результаты исследования выявили высокую эффективность лечебной верховой езды, которая заключается в уменьшении рекурвации в суставах, в коррекции симптомов костно-мышечного аппарата, а также в улучшении качества жизни и превенции вторичных осложнений.

NATURE OF HIPPOTHERAPY BIOMECHANICS AT BENIGN HYPERMOBILITY JOINT SYNDROME

T. Mosulishvili, M. Loria, Kh. Saganelidze

P. Shotadze Tbilisi Medical Academy, Georgia

SUMMARY

The biomechanics of riding as a pathogenic method of treatment and prophylaxis at benign hypermobility joint syndrome has been considered in this paper. The methods for hippotherapy has been developed. The results of the investigation have revealed a high efficacy of therapeutic riding which consists in the decrease of recurvature in joints, correction of the symptoms of musculoskeletal system, as well as in the improvement of life quality and prevention of secondary complications.

ცენტრისტალური ეპილეპსიოლოგიული განცემისთვების ზეგავლენა პროცესზე ფუნქციებზე საჭათელის შილის ეპილეპსიის დროს

**ქ. ოკუჯავა, ნ. ოკუჯავა, ს. შაგიძე, ნ. მალაშვილი, ქ. მანია,
ა. რუხაძე**

სსიპ ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი;
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

მიღებულია 21.01.2012

ეპილეპსიის შემთხვევებში ვებ-ზე ხშირად ვლინდება ინტერიქტალური ეპილეპტიფორმული განტვირთვები (ივბ), რომელთაც თან არ ახლავთ ეპილეპსიური გულყრებისთვის დამახასიათებელი კლინიკური გამოვლინებები. დღევანდელ ეტაპზე ივბ-ს კლინიკური როლი წარმოადგენს კვლევის საგანს. ანტიეპილეპსიური მედიკამენტოზური საშუალებები განსხვავებულად მოქმედებს გულყრების და ინტერიქტალური განტვირთვების აღმოცენების სისტორიზე. ზოგიერთი პრეპარატი, მიუხედავად იმისა, რომ გულყრებზე კონტროლის საშუალებას იძლევა, არ არის უფერტური ივბ-ს შესამცირებლად. ივბ-ს მედიკამენტური კორექციის აუცილებლობის საკითხი კვლავ გაუზრუნველი რჩება. ჩენ მიერ შესწავლით იქნა საფუთქლის ეპილეპსიის 40 შემთხვევა. ერთდროულად ტარდებოდა ვიდეო-ეგზანტერალური და ხანგრძლივი ნეიროფსიქოლოგიური ტესტირება. 28 შემთხვევაში გამოვლევა განმეორებით ჩატარდა. რეგრესული ანალიზით ნაჩვენებია ივბ-ს საშუალოდ გამოხატული ზეგავლენა კოგნიტური ტესტების მონაცემებზე და დავალების შესრულების ხანგრძლივობაზე. გარდამავალი კოგნიტური დარღვევები დამოკიდებული იყო, ერთი მხრივ, ივბ-ს სისტორიზე და, მეორე მხრივ, წარდგენილი ტესტის სირთულეზე. გამოხატული დარღვევები გამოვლინდა მკეცირად გახშირებული ივბ-ს შემთხვევებში ($\bar{N}_{\text{ში}} \geq 2$) მეტად, თუკი განტვირთვები ემთხვეოდა კოგნიტური დავალების დასწავლის ეტაპს და იმ ტესტებში, რომლებიც ყურადღების მაღალ კონცენტრაციას მოითხოვა. განმეორებითმა გამოკვლევებმა ცხადყო ივბ-ს სისტორიზე დამოკიდებული ინტრაინდივიდუალური განსხვავებების არსებობა. შეგვიძლია ვივარაულოთ, რომ ივბ-ს საწინააღმდეგო მუსურნალობა მხოლოდ მკეცირად გახშირებული ინტერიქტალური აქტიურობის შემთხვევებში უნდა იყოს მიზანშეწონილი.

საკანონო სიტყვები: ვებ, ინტერიქტალური ეპილეპტიფორმული განტვირთვები, ნეიროფსიქოლოგიური ტესტირება, საფუთქლის ეპილეპსია



ეპილეფსიის შემთხვევებში ინტერიქტალური ელექტრონულცეფალოგრაფიული ჩანაწერი ხშირად ავლენს ე.წ. ეპილეპტიფორმულ განტვირთვებს. მათ მიაკუთხნებენ ტალღებს და კომპლექსებს, რომლებიც გამოირჩევა ფონური აქტიურობისგან და ნაწილობრივ ემსგავსება გულყრის დროს არსებულ ცელილებებს, თუმცა თან არ ახლავს ცნობიერების ცელილება ან ეპილეფსიური გულყრისთვის დამახასიათებელი სხვა კლინიკური გამოვლინება. ინტერიქტალურ ეპილეპტიფორმულ განტვირთვებს (იმმ) მიაკუთხნებენ შემდეგ ეგ-მორფოლოგიურ ქვეტიპებს: 1) მახვილი ტალღა - სანგრძლივობა 70-200 მწმ, 2) სპაიკი - 20-70 მწმ, 3) სპაიკის და ნელი ტალღის კომპლექსი, 4) მრავლობითი სპაიკის და მრავლობითი ნელი ტალღის კომპლექსი [6, 11]. სპაიკები და მახვილი ტალღები ჩვეულებრივ ნეგატიური პოლარობისაა და მათ უპირატესად თან სდევს ნელი ტალღა. იმმ ზოგადად შეძლება წარმოდგენილ იქნეს, როგორც ჯამშური ელექტროფიზიოლოგიური ფენომენი, რომელიც ასახავს როგორც ამგზნებ, ასევე შემაკავებელ პოსტინაფსურ პოტენციალებს და ასოცირებულია ნეირონების პიპერისინერონიზაციასთან, რომელსაც საფუძვლად უდევს დეპოლარიზაციის პაროქსიზმული წანაცელება და შემდგომი პიპერპლარიზაცია [4, 9].

იმბ-ს მნიშვნელობა ეპილეპტოგენეზის პროცესში აქტიური კვლევის საგანია და მისი კლინიკური მნიშვნელობა კვლავ გაურკვეველი რჩქა. ერთი მხრივ, ტერმინი „ინტერიქტალური ეპილეპტიფორმული განტვირთვა“ გულისხმობს სუბკლინიკურ, უსიმპტომო ელექტროფიზიოლოგიურ ფენომენს. მაგრამ ზოგიერთი კვლევის შედეგების მიხედვით შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ იმბ-ს შესაძლოა გარკვეული ზემოქმედება პქონდეს უმაღლეს ნერვულ ფუნქციებზე.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა იმბ-ს ზეგავლენა კოგნიტურ ფუნქციებზე საფეხურის წილის ეპილეფსიის შემთხვევებში. ფოკალური ეპილეფსიის ამ ჯგუფში იმბ-ს კოგნიტური კორელატები ნაკლებადაა შესწავლილი.

მასალა და გათოდება

საკვლევ ჯგუფში შევიდა 40 ავადმყოფი (22 ქალი და 18 მამაკაცი, საშუალო ასაკი $30(\pm 14)$, კომპლექსური ფოკალური და მეორადად გრძელი სეზონი უნიტიური ფუნქციებით. დაავადების სანგრძლივობა საშუალოდ შეადგენდა $10(\pm 8,5)$ წელს. ავადმყოფებს ჩაუტარდათ ნეიროფიქოლოგიური ტესტირება: ყურადღების და მუშა მეხსიერების შესწავლა: ა) რიცხვების უკუკლება, ბ) ტექსტიში ასოს წაშლის ტესტი - წარდგენილი ტექსტის ყოველ სიტყვაში უნდა მოხდეს შერჩეული ასოს გადახაზვა; კერძალური მეხსიერების შესწავლა: სმენითი კერძალური მეხსიერების ტესტი (8 კომპონენტიანი - AVLT); არავერბალური მეხსიერების ტესტები: რეის რთული ფიგურის ტესტი. გამოყენებულ იქნა ვექსლერის მეხსიერების სკალა WMS-R. შესწავლილ იქნა როგორც დავალებების შესრულების სიზუსტე, ასევე გამოსაკვლევი პირის მიერ დახარჯული დრო. ნეირო-

ფსიქოლოგიური ტესტირების პარალელურად გამოსაკვლევ პირებს უტარ-დებოდათ ვიდეო- და ელექტრონენცეფალოგრაფიული ჩაწერა. ელექტროგნ-ცეფალოგრაფია ჩატარდა 24-არხის ციფრულ აპარატზე (ATES Medica Device). ყველა პაციენტს ჩაუტარდა რუბინული შებ გამოკვლევა ჰიპერ-ვენტილაციითა და ფოტოსტიმულაციით, ხოლო შემდგომ - ერთდროული ვიდეო- და შებ მონიტორინგი ფსიქოლოგიური ტესტირების დროს.

ინტრაინდივიდუალური განსხვავებების გამოსაკვლენად 28 ავადმყოფი შესწავლილ იქნა განმეორებით, პირველი გამოკვლევიდან 1 წლის შემდეგ.

ნეიროფსიქოლოგიური ტესტების შერჩეული ბატარეიის ნორმატიული მონაცემები გამოვიკვლიუთ 30 ჯანმრთელ პირში, რომელთა ასაკი შეესა-ბამებოდა ავადმყოფების ასაკობრივ ჯგუფს.

შესწავლილ იქნა ავადმყოფის ანამნეზური მონაცემები: ასაკი დააგა-დების დებიუტისას, ე.წ. „ინიციალური დაზიანების“ არსებობა ანამნეზში, კომპლექსურ-ფოკალური გულყრების საშუალო სიხშირე უკანასკნელი ერთი წლის და უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში, მეორადად გენერალიზებული გულყრების სიხშირე უკანასკნელი ერთი წლის გან-მავლობაში. ჩატარებული მეურნალობა, მეურნალობის ხანგრძლივობა, ანტიეპილეფსიური საშუალებების დოზირება.

თავის ტვინის სტრუქტურული ცელილებების გამოსაკვლენად ავად-მყოფებს ჩაუტარდათ მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევა. მრტ წარ-მოებდა მრ-სკანერზე Magnetom P8 (Siemens, გერმანია). გამოყენებულ იქნა შემდეგი იმპულსური მიმდევრობები: T2(tse); ორმაგი-ექმ, T1-3D-FLASH.

შედეგები

საკონტროლო ჯგუფში ვერბალური დავალებების შესრულებისას ეეგ-ჩანაწერზე გამოვლინდა ალფა-ტალღოვანი სინქრონიზაცია ოქციპიტო-ტემპორალურ გამოყვანებში. აღნიშნული ცელილება გათვალისწინებულ იქნა ავადმყოფების მონაცემების ინტერპრეტაციისას.

საკონტროლო პირების და ავადმყოფების ნეიროფსიქოლოგიური მონა-ცემების შედარებამ შესწავლილი კოგნიტური ფუნქციების ყველა კომპო-ნენტის თვალსაზრისით თვალსაჩინო სხვაობა გამოვლინა.

კლინიკურ-ანამნეზური მონაცემებიდან ნეიროფსიქოლოგიურ დეფიციტზე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდა დაავადების ხან-გრძლივობას (სტატისტიკურ ანალიზში საკელევ პირთა ასაკის ეფექტის შესწორების შემდეგაც): რაც უფრო ხანგრძლივი იყო დაავადების მიმ-დინარეობა, მით მეტად იყო გამოხატული კოგნიტური დარღვევები (ტეს-ტირების შედეგებთან შეპირობისას ხაზოვანი რეგრესის კოეფი-ციენტი საშუალო 0.56-ს შეადგენდა). სხვა კლინიკური მონაცემები - გულყრების სიხშირე, მეორადად გენერალიზებული გულყრების არსებობა, ასაკი დაავადების დებიუტისას, ანამნეზში მაპროვოცირებული გულყრების არსებობა - კოგნიტურ ფუნქციებზე სტატისტიკურად სარწმუნო მოქ-მედებას არ იჩენდა. შესწავლილ ჯგუფში ავადმყოფებს მეურნალობა ანტიეპილეფსიური საშუალებებით უტარდებოდათ: გამოყენებული პრეპა-

რატები და მათი დოზირება ნეიროფსიქოლოგიურად ინტეპტურ დაფიციტის შემთხვევაში მსგავსი იყო.

გამოვლინდა მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევით დაღგენილი სტრუქტურული ცვლილებების ასოციაცია ნეიროფსიქოლოგიურ დაფიციტთან: რეის ფიგურის დასწავლის დრო, ადრეული და გვიანდელი გახსენება სტრუქტურული დაზიანების არმქონე პირებთან შედარებით გაუარესებული იყო ($p = 0.02$).

ინტერიქტალური აქტიურობის სიხშირე არ განსხვავდებოდა სტრუქტურული დაზიანების მქონე და არმქონე ჯგუფებს შორის. ნიშანდობლივა ის ფაქტიც, რომ ცალმხრივი სტრუქტურული ცვლილებების დროს ინტერიქტალური ეპილეპტიფორმული პატერნები 30%-ში ბილატერალურად ვლინდებოდა.

ავადმყოფთა მოცემულ ჯგუფში ხანგრძლივი ნეიროფსიქოლოგიური ტესტირების დროს ჩატარებულ ელექტრორენცეფალოგრაფიულ ხანაშერჩევა საშუალოდ წუთში 1.25 (0-10) ინტერიქტალური ეპილეპტიფორმული განტვირთვა ფიქსირდებოდა. გამოკვლეულ იქნა ინტერიქტალური განტვირთვების ზეგავლენა კოგნიტური ტესტების მონაცემებზე. გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ზეგავლენა ყურადღების ტესტის შესრულებაზე და მის ხანგრძლივობაზე (ხაზოვანი რეგრესიის კოეფიციენტი $R = 0.6$ და $R = 0.7$, შესაბამისად), სმენითი ვერბალური მეხსიერების ტესტის (AVLT) დასწავლის სტადიაზე ($R = 0.5$) და შედარებით ნაკლებად AVLT-ის შესრულების დროზე ($R = 0.4$). ასევე გამოვლინდა ინტერიქტალური პათოლოგიური ელექტროფიზიოლოგიური ცვლილებების ზეგავლენა ვერბალური ტესტის პროაქტიური ($R = 0.4$) და რეტროაქტიური ($R = 0.3$) ინტერფერენციის ფაზებისას. ვერბალური მეხსიერების ტესტის გვიანდელ ეტაპებზე მეტი ზეგავლენა ჰქონდა AVLT-ს დასწავლის ნაწილში აღმოცენებულ ეპილეპტიფორმულ განტვირთვებს – $R = 0.65$ -ს რეტროაქტიური ინტერფერენციის ფაზისთვის, $R = 0.65$ -ს თავისუფალი გახსენებისთვის, $R = 0.5$ -ს გვიანი თავისუფალი გახსენებისთვის.

გამოიხატა ინტერიქტალური ეპილეპტიფორმული აქტიურობის ზეგავლენა რეის რთული ფიგურის დასწავლის ტეაპზე დავალების შესრულების სიზუსტეს ($R = 0.7$) და დროზე ($R = 0.5$). საყურადღებოა, რომ რეის რთული ფიგურის ტესტის პირველ ეტაპზე აღმოცენებული პათოლოგიური განტვირთვები ზემოქმედებას იჩენდა ამავე ტესტის მე-2 და მე-3 გახსენების სტადიების შედეგებზე ($R = 0.65$).

შულტიგარიაციულმა სტატისტიკურმა ტესტებმა გამოავლინა, რომ ინტერიქტალური განტვირთვების აღნიშნული ეფექტები სხვა ფაქტორებისგან დამოკიდებლად იჩენდა თავს. ინტერიქტალური ეპილეპტიფორმული აქტიურობის უარყოფითი ეფექტი მეტად იყო გამოხატული იმ შემთხვევებში, როდესაც განტვირთვების სიხშირე აღემატებოდა ან უტოლდებოდა 2-ს წუთში.

შესწავლით ავადმყოფებში არ ვლინდებოდა შებ-ცვლილებების ლატერალიზაციის ზეგავლენა საგნობრივ-სპეციფიურ დარღვევებზე – არავერ-

ბალური და ვერბალური მეხსიერების დეფიციტი სტატისტიკურად შეიძლოვნად არ ემთხვეოდა ინტერიქტალური მახვილი ტალღების სიჭარებს ამა თუ იმ პემისცეროს გამოყვანებში. პათოლოგიური ცვლილებები, რომლებსაც თან ახლდა კოგნიტური ტესტების შედეგების გაუარესება, ორმხრივ აღმოცენდებოდა.

ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა ინტერიქტალური განტეირთვების სიხშირეზე დამოკიდებული ინტრაინდივიდუალური განსხვავებები: ერთი და იმავე ავადმყოფის სხვადასხვა კვლევისას ყურადღების ტესტის ხანგრძლივობა და ვერბალური მეხსიერების თავისუფალი გახსენების ეტაპის მონაცემები იმისდა მიხედვით იცვლებოდა, თუ როგორი იყო ელექტროენცეფალოგრაფიული პათოლოგიური აქტიურობის სიხშირე ($p < 0.05$).


შედეგების განხილვა

მიღებული შედეგებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინტერიქტალურ განტეირთვებს აქვთ საშუალო ხარისხის ეფექტი ჩვენ მიერ გამოყენებულ ნეიროფსიქოლოგიურ ტესტებზე. პილატერალური ეპილეპტიფორმული განტეირთვებისას გაუარესებული იყო როგორც ვერბალური, ასევე არავერბალური მეხსიერების დავალებების შესრულება, გამოხატული იყო კოგნიტური ტესტების შესრულების გახანგრძლივება და ყურადღების კონცენტრაციის შესუსტება.


იქნ-ს კლინიკურ-კოგნიტური კორელატების ძიება სხვადასხვა კვლევის საგანს წარმოადგენდა. შედეგები ზოგიერთ შემთხვევაში ურთიერთგამომრიცხავი იყო. Prechtl-ის და თანაავტორების მიხედვით, ინტერიქტალურ ეპილეპტიფორმულ აქტიურობას კოგნიტურ ფუნქციებზე ზეგავლენა არა აქვს [12], მეორე მხრივ, სხვა კვლევებმა გენერალიზებული ინტერიქტალური განტეირთვების დროს გარემონტირებული კოგნიტური დარღვევები გამოავლინა [14]. ეპილეფსიით დაავადებულთა რაოდგნობრივად დიდ ჯგუფზე ჩატარებულმა კვლევამ ნეიროფსიქოლოგიური ცვლილებები ავადმყოფთა მხოლოდ მცირე ნაწილში გამოავლინა: საკვლევი პირების შერჩევის კრიტერიუმების შეცვლის შემდეგ შედარებით სხვაგვარი სურათი იქნა მიღებული: მხოლოდ იმ შემთხვევების შესწავლისას, სადაც იქნ განსაკუთრებული სიხშირით ვლინდებოდა (არანაკლებ ერთი იქნ-სა ყოველ 5 წთ-ში) 50%-ში, აღინიშნა ე.წ. ტრანზიტორული კოგნიტური დარღვევები [1].

Aldenkamp-ის და თანაავტორების მიერ ჩატარებული გამოკვლევისას თავდაპირველად მკაფიო კორელაცია ინტერიქტალურ ეგგ მონაცემებსა და კოგნიტურ ცვლილებებს შორის არ გამოვლინდა [2]. შემდგომ კვლევებში ამავე ჯგუფის მიერ დადგინდა იქნ-ს ზეგავლენა მხოლოდ კომპიუტერული ვიზუალური ძიების ტესტის შესრულებაზე [3].

Binnie-ს და თანაავტორების მიერ შესწავლით იქნა გენერალიზებული სპაიკების უარყოფითი გავლენა სივრცითი ტესტების შესრულებაზე [5]. სხვა მკავლევართა მიერ დადგენილ იქნა, რომ ვიზუალური ინფორმაციის დამუშავების დარღვევებთან კეფის წილების გამოყვანებში კორელირებს რეგისტრირებული სპაიკები [16].



სურ. 1. ავადმყოფების მიერ ყურადღების შემსწავლელ დაფალებაზე დახარჯული დროის (ATT1TIME) და ტესტის განმაჭლობაში აღმოცენებული 0ებს-ის (ATT1-EEG) შეპირისპირება



სურ. 2. ვერბალური მეხსიერების დასწავლის სტაგიისას აღმოცენებული 0ებს-ის (AVLT_EEG) ზემოქმედება ვერბალური მეხსიერების ტესტის რეტროაქტიური ინტერვერენციის ფაზაზე (AVLT_C)

ზემოთ ხსენებული კვლევებისგან განსხვავებით, ჩვენ მიერ შესწავლით იქნა ავადმყოფთა ჯგუფი როული ფრკალური და მეორადად გენერალიზებული გულყრებით. მიღებული შედეგებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რეტინულ ნეიროფსიქოლოგიურ ტესტირებაზე ზემოქმედება ძირითადად შეიძლება იქნიოს გამოკვეთილად ხშირმა ბილატერალურმა ინ-

ტერიქტალურმა განტკირთვებმა (წთ-ში ≥ 2). იებ-ს უარყოფითი ზეგავლენა აქცენტირებულია, თუკი ეგ-აქტიურობა კლინდება დაკალების წარდგენის ღროს და, ამავდროულად, დამოკიდებულია დაკალების სირთულეზე: მოთხოვნა ყურადღების მაღალ კონცენტრაციაზე და კოგნიტური ტესტის კომპლექსურობა (მაგალითად, ვერბალური მეხსიერების შესწავლის რეტროაქტიური ინტერფერენციის ფაზა ან რეის რთული ფიგურის ტესტი) უპირატესად ინტერიქტალური განტკირთვების ზეგავლენას განიცდიდა. სწორედ ამით უნდა აქხსნათ არაერთგვაროვანი შედეგები, რომლებიც მიღებულ იქნა სხვადასხვა ავტორების მიერ – შერჩეული ტესტების სირთულე და, ამავდროულად, იებ-ს სხვადასხვა სიხშირე და გავრცელების ხარისხი გადამწყვეტია ეფექტის გამოხავლენად. ჩვენ მიერ გამოყენებულ იქნა სტანდარტული ნეიროფსიქოლოგიური ტესტები. არ არის გამორიცხული, რომ იებ-ს მიმართ მეტად მაღალი მგრძნობელობა ექნება ყურადღების და რეაქციის დროის სპეციალიზებულ კომპიუტერულ ტესტებს.

ჯერ კიდევ დასადგენია ის პათომექანიზმები, რომლებიც საფუძვლად უდევს ჩვენ მიერ გამოვლენილ ცვლილებებს. აღწერილია, რომ იებ-ს მორფოლოგიის და კოგნიტური ცვლილებების შედარებისას, რეაქციის ღროს გახანგრძლივება გამოხატულია სპაიკის შემდგომი ნელი ტალღის და სტიმულის წარდგენის დამთხვევისას [15]. იებ-ს ზეგავლენას მეხსიერებაზე შესაძლოა ხანგრძლივი პორტციაციის (LTP) დარღვევა განაპირობებდეს, რაზეც მიუთიობს ექსპრიმენტული კვლევების შედეგები [10]. ამავდროულად, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ პათოლოგიური ეპილეპტიფორმული განტკირთვების სიხშირე მატულობს ძილში, რაც მეხსიერების კონსოლიდაციის შემაფერხებელ ფაქტორად შეიძლება მოვიაზროთ.

ფარულ ინტერიქტალურ კოგნიტურ ცვლილებებს შესაძლოა ზეგავლენა პქონდეს ეპილეფისით დაავადებულთა ფსიქოსოციალურ ადაპტაციაზეც. განსაკუთრებულად საგულისხმოა შრომითი საქმიანობის ის სფეროები, რომლებიც ყურადღების მაღალ კონცენტრაციას მოითხოვს. მაგალითად, გამოვლენილ იქნა შეცდომები ავტომანქანის მართვის კომპიუტერული სიმულაციის ტესტისას რეგისტრირებული იებ-ს დროს [8]. დღევანდელ ეტაპზე კვლავ აქტუალური რჩება იებ-ს კლინიკური ღირებულების დაგენა და მათი მკურნალობის აუცილებლობის და ეფექტურობის შესწავლა. ავტორთა უმეტესობა არ თვლის მიზანშეწონილად, რომ მკურნალობა ორიენტირებული უნდა იყოს დაავადების ინტერიქტალური გამოვლინებების კორექციაზე. ანტიეპილეფისური მკურნალობის მოხსნა დასაბუთებულად ითვლება, თუკი ავადმყოფს უკანასკენილი ორი წლის განმავლობაში არ აღნიშნებოდა გულყრები. ამავდროულად ცნობილია, რომ ზოგიერთი პრეპარატი, მიუხედავად იმისა, რომ ამცირებს გულყრების სიხშირეს, ნაკლებად მოქმედებს ინტერიქტალურ ეებ სურათზე (მაგ., კარბამაზეპინი). თუკი მკურნალობის მიზნად ინტერიქტალური განტკირთვების შემცირებას ჩავთვლით, მაშინ მეტი ეფექტურობით შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა ანტიეპილეფისური პრეპარატები. ერთმნიშვნელოვანი მიღორმა ამგვარი მკურნალობის ჩატარების მიმართ დღევანდელ ეპილეპტოლოგიაში არ არსებობს. ერთეულ კვლევაში ნაჩვენებია ქცევითი დარღვევების გამოსწო-

რება ეპილეფსიით დაავადებულ ბავშვებში ინტერიქტალური განტენირებების დათვალისწინების შედეგად [13]. თუმცა, ასავდორულად გასათვალისწინებელია ის უარყოფითი გვერდითი ეფექტები, რომელებიც შეიძლება თან ახლდეს დამატებით ან გასანგრძლივებულ მედიკამენტურ მკურნალობას. ჩვენი მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია ვივარაულოთ, რომ მხოლოდ ძალზე ხშირი ინტერიქტალური განტვირთვები უნდა წარმოადგენდეს მედიკამენტური მკურნალობის „სამიზნებ“. ისეთ შემთხვევებში კი, როდესაც აღილი აქვს ერთეულ განტვირთვას, დამატებითი თერაპიული ლონისძიებების ჩატარება არ უნდა იყოს მიზანშეწონილი. იგივე შეიძლება ვივარაულოთ ეპილეფსიით დაავადებულთა შრომითი და საყოფაცხოვრებო რეაქციის შერჩევის თვალსაზრისითაც: იშვიათი ინტერიქტალური განტვირთვები არ უნდა იყოს ამა თუ იმ საქმიანობის შეზღუდვის საბაბი.

შესწავლით ჯგუფში გამოვლენილი ასოციაცია დაავადების სანგრძლოვობასა და კოგნიტურ დეფიციტს შორის ეხმიანება სხვა კვლევების შედეგებს [7]. დაავადების სანგრძლივობა ერთობლიობაში მოიცავს როგორც გულფრების და ინტერიქტალური ეპილეპტოგენეზის დამაზიანებელ მოქმედებას, ასევე გამოყენებული ანტიეპილეფსიური საშუალებების არასასურველ ეფექტს. შეიძლება ითქვას, რომ ეპილეფსიით დაავადებულებში კოგნიტური ცვლილებები უნდა განიხილებოდეს, როგორც მრავალი ფაქტორით განპირობებული მოვლენა და ამ ეტიოლოგიურ ფაქტორებს შორის ერთ-ერთი ინტერიქტალური განტვირთვებია.

ლიტერატურა

1. Aarts J.H.P., Binnie C.D., Smit A.M. et al. Brain, 1984, 107, 293-308.
2. Aldenkamp A.P., Gutter T., Beun A.M. Acta Neurologica Scandinavica, 1992, 86, 111-122.
3. Aldenkamp A.P., Arends J., Verspeek S. et al. Child Neuropsychology, 2004, 10, 297-305.
4. Ayala G.F., Dichter M., Gummitt R.J. et al. Brain Research, 1973, 52, 1-17.
5. Binnie C.D., Kastelein-Nolst Trenite D.G., Smit A.M. et al. Epilepsy Research, 1987, 1, 239-245.
6. International Federation of Societies for Clinical Neurophysiology: A glossary of terms most commonly used by clinical electroencephalographers. Electroencephalography and Clinical Neurophysiology, 1974, 37, 538-548.
7. Jokeit H., Ebner A. Journal of Neurology, Neurosurgery and Psychiatry, 1999, 67, 44-50.
8. Kastelein-Nolst Trenite D.G., Riemersma J.B., Binnie C.D. et al. Electroencephalography and Clinical Neurophysiology, 1987, 67, 167-170.
9. Matsumoto H., Aimone-Marsan C. Experimental Neurology, 1964, 80, 286-304.
10. Moore S.D., Barr S.D., Wilson W.A. Neuroscience Letters, 1993, 163, 117-119.
11. Pillai J., Sperling M.R. Epilepsia, 2006, 47 (Suppl. 1), 14-22.
12. Precht H.F.R., Boeke P.E., Schut T. Neurology, 1965, 11, 296-302.
13. Pressler R.M., Robinson R.O., Wilson G.A. et al. Journal of Pediatrics, 2005, 146, 112-117.
14. Scott D.F., Moffatt A., Matthews A., et al. Epilepsia, 1967, 8, 188-194.
15. Shewmon D.A., Erwin R.J. Annals of Neurology, 1988, 23, 131-137.
16. Shewmon D.A., Erwin R.J. Journal of Clinical and Experimental Neuropsychology, 1989, 11, 675-691.

ВЛИЯНИЕ ИНТЕРИКТАЛЬНЫХ ЭПИЛЕПТИФОРМЫХ РАЗРЯДОВ НА КОГНИТИВНЫЕ ФУНКЦИИ В СЛУЧАЯХ ВИСОЧНОЙ ЭПИЛЕПСИИ

М. Окуджава, Н. Окуджава, С. Шагидзе, Н. Малашхия, М. Мания, И. Рухадзе

Центр экспериментальной биомедицины им. И. Бериташвили; Тбилисский государственный медицинский университет

РЕЗЮМЕ

Электроэнцефалографическое исследование различных эпилептических синдромов часто выявляет т.н. интериктальные эпилептиформные разряды (ИЭР), при которых не отмечаются клинические проявления эпилептических пароксизмов. Роль ИЭР в эпилептогенезе и их клиническая значимость пока не являются до конца изученными. Антиэпилептические препараты по разному действуют на частоту приступов и ИЭР. Некоторые средства эффективно уменьшают частоту пароксизмов, но не влияют на интериктальную активность. Необходимость лечения, направленного на улучшение интериктальной ЭЭГ-картины, на данном этапе остается спорной. Нами были изучены 40 больных со сложными фокальными и вторично генерализованными приступами височной этиологии. Проводилась видео-ЭЭГ запись с одновременным длительным нейропсихологическим тестированием. 28 больных были обследованы повторно. Регрессионный анализ данных показал среднюю степень влияния ИЭР как на когнитивные показатели, так и на время, требуемое для выполнения задач. Отмечались преходящие когнитивные нарушения, которые зависели, с одной стороны, от частоты и времени возникновения интериктальных разрядов, а с другой стороны, от сложности представленного нейропсихологического теста. Нарушения были более выражены в случаях с резко повышенной частотой разрядов ($2 \geq$ в мин.), а также при совпадении ИЭР с началом заучивания задачи и преимущественно во время выполнения комплексных когнитивных тестов, требующих высокой концентрации внимания. Повторные обследования показали интраиндивидуальные различия, зависящие от частоты ИЭР. Можно предположить, что медикаментозная коррекция интериктальной ЭЭГ-активности целесообразна только в случаях частых ИЭР.

INFLUENCE OF INTERICTAL EPILEPTIFORM DISCHARGES ON COGNITIVE FUNCTIONS IN TEMPORAL LOBE EPILEPSY

M. Okujava, N. Okujava, S. Shagidze, N. Malashkhia, M. Mania, I. Rukhadze

I. Beritashvili Center for Experimental Biomedicine; Tbilisi State Medical University

SUMMARY

Interictal epileptiform discharges (IED) without evident corresponding clinical signs are frequent electrophysiological phenomena in patients with epilepsy. The role of IED in epileptogenesis and their clinical significance are not yet established. Different antiepileptic drugs have different influence on the IED, while reaching seizure control some of the medications might not decrease the appearance of IED. The importance of the so-called “treatment of EEG” is a subject of dispute. We investigated 40 temporal lobe patients with epilepsy. Simultaneous video-

EEG recordings and neuropsychological testing were performed. In 28 cases the investigation was repeated on different occasions. Regression analysis showed moderate influence of IED on cognitive performance and the time needed for the fulfillment of the tasks. The appearance of transient cognitive impairment was dependent on the frequency of the discharges on the one hand, and the complexity of the cognitive task, on the other hand. More evident changes were revealed in cases with very frequent ($2\geq$ in minute) interictal EEG activity coinciding with the learning part of the cognitive tasks, especially in tests involving high concentration of attention and complex problem solving. Repeated measure showed intraindividual differences dependent on the frequency of IEG. It can be assumed that the treatment aimed to suppress the interictal epileptiform activity should be targeted mostly on the group with very frequent discharges.

ჰემოლინაეიპაზე ლოპალური ანესთეტიკების მოქმედების თავისებურებასი (ექსპერიმენტული კვლევა თეორი ვირთაგვების ღრმილებები)

მ. ბლოიასუნოვა¹, ნ. საყვარელიძე², ნ. წილოსანი³, მ. ფრუიძე²,
ო. კვაჭაძე², გ. ბეჭაიძე¹

¹ პ. შოთაძის სახ. თბილისის სამედიცინო აკადემია; ² თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი; ³ ქლინიკა “ალმა-დენტი”

მიღებულია 05.04.2012

წარმოდგენილ ნაშრომში შესწავლილია აზოტის ოქსიდის შესაძლო როლი ორი ლოკალური ანესთეტიკის (ლიდოკაინის და მეპივაკაინის) მოქმედებაში ღრმილში არსებული სისხლის ნაკადის დონეზე. დადგინდა, რომ ლიდოკაინის კარგად ცნობილი ვაზოდილატატორული ეფექტი დაითრგუნა აზოტის ოქსიდის არასელექტიური სინთაზას ნიტრო-L-არგინინ მეთილ ესტერის მოქმედების ფონზე. ეს გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ 2%-ანი სუფთა ლიდოკაინის ვაზოდილატატორული ეფექტი განაირობებული უნდა იყოს აზოტის ოქსიდით. ამავე დროს, მეპივაკაინის შემთხვევაში აზოტის ოქსიდის სინთეზის ბლოკირებამ სტატისტიკურად სარწმუნოდ გააღმრმავა მეპივაკაინის ვაზოკონსტრიქტორული ეფექტი, რაც უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ ნორმის შემთხვევაში აზოტის ოქსიდი ამცირებს მეპივაკაინის ვაზოკონსტრიქტორულ მოქმედებას.

საკვანძო სიტყვები: ჰემოლინამიკა, ლიდოკაინი, მეპივაკაინი, აზოტის ოქსიდი, კალციტონინის გენთან დაკავშირებული ჰეპტიდი

სტომატოლოგიაში გამოყენებადი თანამედროვე ლოკალური ანესთეტიკები (ლიდოკაინი, არტიკაინი, ბუპივაკაინი, მეპივაკაინი და სხვ.) თავისი ტკივილგამაყუჩებელი ეფექტურობით თითქმის არ განსხვავდება ერთმანეთისგან [4]. ყელდა კონკრეტულ კლინიკურ შემთხვევაში არჩევანი მათ შორის მოქმედების ხანგრძლივობის, პაციენტის ანამნეზის და სხვა წამლებთან შესაძლო ურთიერთქმედების მიხედვით ხდება. ასე, მაგალითად, თუ სასურველი არ არის დამატებით ვაზოკონსტრიქტორის გამოყენება და ჩასატარებელი პროცედურა ხანმოკლეა, შესაძლებელია მეპივაკაინის ან პრილოკაინის ხმარება, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, როდესაც მოცემული პაციენტისთვის გამორიცხულია ადრენალინის შეყვანა (მაგა-



ლითად, გულის იშემიური დაავადების ან ახლო წარსულში გადატანილი მიოკარდის ინფარქტის (შემთხვევაში). ამასთან ერთად შესაძლებელია, რომ ადრენალინის დამატებამ გამოიწვიოს პირის ღრუს თრგანოების სისხლით მომარაგების მკეთრი ცვლილება და შეიქმნას ალბათობა იმისა, რომ ლოკალური ანესოფეტიკი შეადწევს ცერებრული სისხლის მიმოცვევის სისტემაშიც, რაც ხშირად იწვევს ტოქსიკური ხასიათის ნევროლოგიურ მანიფესტაციას [2]. ცნობილია, აგრეთვე, ლოკალური ანესოფეტიკების კარდიოტოქსიკური ეფექტიც [5, 6].

თუ ჩასატარებელი სამედიცინო პროცედურა საქმარისად ხანგრძლივია, არჩევანი კეთდება ბუპივაკანზე. ბავშვების და ფეხმბიმების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ლიდოკაინის და ადრენალინის კომბინაციას. რუტინული სტომატოლოგიური ჩარევის შემთხვევაში შესაძლებელია როგორც არტიკაინის, ისე ლიდოკაინის, მეპივაკაინის ან პრილოკაინის გამოყენება. როგორც წესი, უმეტესწილად ხდება ადრენალინის დამატებაც, მაგრამ აუცილებლად საჭიროა მისი დოზირებისას კონკრეტული პაციენტის ანამნეზის გათვალისწინება [6], ვინაიდან, გარდა ტაივილგამაყუჩებელი ოვისებისა, რაც აერთიანებს პრაქტიკულად ყველა ლოკალურ ანესოფეტიკს, როგორც ვედავო, მათ გარკვეული თავისებურებები ახასიათებს. ამასთან დაკავშირებით, საჭიროდ მიგაბაზნია ექსპერიმენტულ კვლევაში დაგადგინოთ ამ თავისებურებების ზოგიერთი ფარმაკოფიზიოლოგიური საფუძველი და მექანიზმი. ამ თვალთაზრისით, პირველი რიგის ამოცანად მიგაბაზნია აღინიშნული ორი ლოკალური ანესოფეტიკის მოქმედების მექანიზმში აზოტის ოქსიდის როლის გარკვევა. ამ მოსაზრებას აძლიერებს აგრეთვე ის, რომ აღნიშნული ლოკალური ანესოფეტიკების გამოყენების უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის მიუხედავად, საქმაოდ მწირი ინფორმაციაა დაგროვილი მათი შესაძლო მოქმედების შესახებ ადგილობრივ პემოდინამიკაზე დიტერატურაში არის მითითება, რომ აღნიშნულ პროცესებში უნდა მონაწილეობდეს აზოტის ოქსიდი ან ჯალციტონინის გენთან დაკავშირებული პეპტიდი – ორი უადრესად ძლიერი ვაზოდილატატორული აგენტი [7, 8]. მიუხედავად იმისა, რომ ლიდოკაინთან დაკავშირებით ეს საკითხი ნაწილობრივ შესწავლილია ჩვენს ადრინდეჟლ კვლევაში [1], საჭიროდ ჩაეთვალე კვლევის გაგრძელება და მასში მეპივაკაინის შესწავლის ჩართვაც.

გასაღა და მეთოდები

ცვები ჩატარდა ქლორალპიდრატის მსუბუქი (0.4 გ/კგ) ნარკოზის პირობებში, 300-350 გ მასის მქონე 36 თეთრ მამრობითი სქესის ვირთაგვაზე. არტერიული წნევა იზომებოდა უსისხლო მეთოდით კუდის არტერიიდან. ადგილობრივი სისხლის ნაკადის დინამიკა ქვედა ყბის ღრძილის ქსოვილში აღირიცხებოდა წყალბადის კლირენსის მეთოდით [3]. ცვების ჩატარების პარადიგმა დეტალურად აღწერილია უკვე ხსნებულ სტატიაში [1], ამიტომ აქ შემოვიფარგლებით მისი მხოლოდ მოკლე აღწერით.

ცვების პირველ სერიაში (18 ცხოველი) შეისწავლებოდა სისტემური არტერიული წნევის და ქვედა ყბის ღრძილის ქსოვილში (მარცხნა და

მარჯვენა მხარეს) ადგილობრივი სისხლის ნაკადის ფონური მაჩვენებლებზე და მათი ცვლილება 2%-ანი ლიდოკაინის (მარჯვენა მხარეს) და იგივე მოცულობის ფიზიოლოგიური სისარის (მარცხენა მხარეს) ინექციის შემდეგ (პირველი ჯგუფი, 6 ცხოველი). ამავე სერიის ცხოველთა მეორე ჯგუფში (6 ცხოველი) იგივე მაჩვენებლები შეისწავლებოდა 2%-ანი ლიდოკაინის ადრენალინთან ერთად (1:100000), ხოლო მესამე ჯგუფში – 3%-ანი მეპივაკაინის ინექციის პიობებში

ცდების მეორე სერიაში (18 ცხოველი) იგივე ექსპერიმენტულ პირობებში ფონური გაზომვების შემდეგ ინტრავენურად შეგავავდა 30 მგ/კგ L-NAME (N^o-ნიტრო-L-არგინინ მეთილ ესტერი). 15 წუთის შემდეგ იზომებოდა ადგილობრივი სისხლის ნაკადი და პირველი სერიის მსგავსად კეთდებოდა ლიდოკაინის (ადრენალინთან ერთად) ან მეპივაკაინის და უზიზიოლოგიური სისარის ინექციები, რასაც მოსდევდა ადგილობრივი სისხლის ნაკადის ინტენსივობის გაზომვა ორივე მხარეს. ამავე სერიის მეორე ჯგუფში L-NAME-ს შემდეგ ინტრავენურად კეთდებოდა 300 მგ/კგ L-არგინინის ინტრავენური ინექცია, ხოლო შემდგომ მეორებოდა უკეთ აღწერილი პროცედურა.

ადგილობრივი სისხლის ნაკადის აღრიცხვა. ღრძილში ადგილობრივი სისხლის ნაკადის წყალბადის კლირენსის რეგისტრაციისთვის გამზომ ელექტროდს (60 მეტ დიამეტრის ტევლონირებული პლატინა) ღრძილის ქსოვილში ვაჟენბდით ელექტროდის ეერტიკალური მდგომარეობის შერჩევით ქსოვილის მინიმალური დაზიანებით, დამატებითი ფიქსატორების გარეშე. რეგერერებული ელექტროდი (ქლორინებული ვერცხლი) ფიქსირდებოდა კანქეც კისრის არეში.

სისტემური არტერიული წნევა “უსისხლო” მეთოდით დისკრეტულად (ყოველ 5-6 წუთში) იზომებოდა პროფ. გ აბულაძის მიერ დამუშავებული და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სკბ-ში დამზადებული გამზომი ხელსაწყოს – “არტერია”-ს გამოყენებით.

მცირე ზომის მანქეტი თავსდებოდა ცხოველის კუდზე, რომელიც განუწვევეტლივ თბებოდა 37°C-მდე. სისტოლური და დიასტოლური არტერიული წნევა აღირიცხებოდა ოსცილოგრაფზე და შემდეგ გაითვლებოდა არტერიული წნევის საშუალო მნიშვნელობა.

ფარმაკოლოგიური პრეპარატები და **მონაცემების სტატისტიკური ანალიზი.** ჩვენს ცდებში გამოიყენებოდა Research Biochemicals International (RBI; Natick, MA) მიერ წარმოებული N-ნიტრო-L-არგინინ მეთილ ესტერის L-იზომერი (L-NAME) და L-არგინინი და უკრაინული (Фармацевтическая компания “Здоровье”) მეპივაკაინი, წარმოებული “მეპიფრინის” დასახელებით.

მიღებული შედეგების სტატისტიკური დამუშავება ხდებოდა ცვლადთა ანალიზის (ANOVA) პროგრამული პაკეტით. სხვაობათა სტატისტიკური სარწმუნობა მოწმდებოდა სტიუდენტის t-კრიტერიუმით.


მოღვაწლი უკავშირი

სტატისტიკურად დამუშავებული და განზოგადოებული ცდების პირველ სერიაში მიღებული შედეგები წარმოდგენილია ცხრილში 1 და სურათზე 1.

დრმილში ადგილობრივი სისხლის ნაკადის მაჩვენებლები [მლ/100 გ/წ] საკონტროლო (მარცხნა მხარე) და ექსპერიმენტული (მარჯვენა მხარე) გაზომილი შესაბამისი ხსნარის ინექციიდან დროის სხვადასხვა მონაკვეთში

დრო	გაზომვის მხარე	საინექციო ხსნარი		
		2%-ანი ლიდო-პაინი – მარჯვ., ფიზ. ხსნ. – მარც. (n = 6)	2%-ანი ლიდოკაინი და ალრენ. (1:100000) – მარჯვ., ფიზ. ხსნ. – მარც. (n = 6)	3%-ანი მეპივო-პაინი – მარჯვ., ფიზ. ხსნ. – მარც. (n = 6)
ფონური მაჩვენებელი	მარჯვ.	75 ± 8.8	81 ± 6.5	79 ± 8.2
	მარც.	77 ± 7.9	80 ± 7.2	81 ± 9.1
10 წთ	მარჯვ.	89 ± 7.2	32 ± 7.7	70 ± 6.5
	მარც.	75 ± 6.6	78 ± 6.6	80 ± 8.1
30 წთ	მარჯვ.	85 ± 8.1	35 ± 6.8	65 ± 7.3
	მარც.	79 ± 5.4	81 ± 8.3	82 ± 7.8
60 წთ	მარჯვ.	81 ± 8.0	45 ± 8.1	72 ± 5.9
	მარც.	76 ± 7.1	79 ± 7.7	78 ± 8.5
90 წთ	მარჯვ.	76 ± 8.2	77 ± 9.8	80 ± 6.6
	მარც.	78 ± 6.9	79 ± 8.7	80 ± 7.5

სურათი 1



როგორც ვხედავთ, 2%-ანი ლიდოკაინის ინექციამ (მარჯვენა მხარეზე) უკვე მე-10 წუთზე გამოიწვია ადგილობრივი სისხლის ნაკადის ფონთან შედარებით 18-19 პროცენტით სტატისტიკურად სარწმუნო მატება ($p < 0.05$). დაახლოებით 30-ე წუთიდან სისხლის ნაკადის დონემ თანმიმდევრულად დაიწია და 90-ე წუთზე დაუბრუნდა საწყის დონეს. საკონტროლო მხარეს ფიზიოლოგიური სისხლის ინექციამ არ გამოიწვია ადგილობრივი სისხლის ნაკადის რაიმე კანონზომიერი ცვლილება. ცდების ამ ჯგუფში სისტემური არტერიული წნევა საშუალოდ სინდიუმის სევეტის 90 მმ-ის დონეზე იყო შენარჩუნებული და მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებებს განიცდიდა.

ლიდოკაინისა და აღრენალინის (1:100000) კომბინაციამ პრინციპულად განსხვავებული სურათი მოგვცა. ღრმილის ექსპერიმენტულ მხარეს ადგილობრივი სისხლის ნაკადი მკვეთრად შემცირებული აღმოჩნდა ინექციიდან უკვე მე-10 წუთზე. შემცირებამ საწყისი დონის 60%-ზე მეტი შეადგინა. ინექციიდან 1 საათის შემდეგ ადგილობრივი სისხლის ნაკადის დონემ თავისი საწყისი მნიშვნელობის 50%-ს მიაღწია, ხოლო 90 წუთის შემდეგ პრაქტიკულად ადადგინა თავისი თავდაპირველი მნიშვნელობა. ცხოველთა ამ ჯგუფში სისტემური არტერიული წნევის საშუალო დონის ცვლილებაც აღინიშნა, რომლის განვითარება დროში პრაქტიკულად ემთხვევა სისხლის ნაკადის ცვლილების დინამიკას. ლიდოკაინ-ადრენალინის ინექციიდან მე-10 წუთზე არტერიული წნევის საშუალო დონემ შეადგინა სინდიუმის სევეტის 110 მმ, რაც დაახლოებით 12%-ით აღემატებოდა საწყის, ფონურ დონეს, რომელსაც იგი კვლავ დაუბრუნდა დაახლოებით 90-ე წუთზე.

საყურადღებო შედეგები იქნა მიღებული 3%-ანი მეპივაკაინის ინექციის შემდეგ. სუფთა ლიდოკაინისგან განსხვავებით, მეპივაკაინის ინექციამ ღრმილში გამოიწვია ადგილობრივი სისხლის ნაკადის შემცირება, რაც დაახლოებით 45-50 წუთის განმავლობაში გაგრძელდა. შემცირების მაქსიმუმი აღინიშნა ინექციიდან მე-20 წუთზე და საწყისი დონის დაახლოებით 18-19% შეადგინა. როგორც ვხედავთ, მეპივაკაინით გამოიწვეული სისხლის ნაკადის ცვლილება საწყისი დონის იგივე პროცენტებს შეადგენდა, რაც აღირიცხა სუფთა ლიდოკაინის ინექციის შედგადა, მხოლოდ ეს ცვლილება მიმართული იყო საწინააღმდეგო მხარეს – სისხლის ნაკადის შემცირებისკენ. მეპივაკაინის შეყვანის ფონზე სისტემური არტერიული წნევა პრაქტიკულად არ შეცვლილა.


ცხოველების მომდევნო ჯგუფებში აღნიშნული ლოკალური ანესთეტიკების ინექციას წინ უსწრებდა აზოტის ოქსიდის სინთაზას არასელექტიური ინჰიბიტორის ნიტრო-L-არგინინ მეთოლ ესტერის (L-NAME) ინტრავენური შეყვანა (30 მგ/კგ). შეყვანიდან 15 წუთის შემდეგ აღირიცხებოდა ადგილობრივი სისხლის ნაკადის და სისტემური არტერიული წნევის დონე და მხოლოდ ამის შემდეგ ვახდენდით ლოკალური ანესთეტიკების ინექციას.

მიღებული შედეგების რაოდგნობრივი მაჩვენებლები წარმოდგენილია ცხრილში 2, ხოლო მათი ცვლილებების პროცენტული გამოსახვა – სურათზე 2.

ადგილობრივი სისხლის ნაკადი [მლ/100გ/წთ] გაზომილი დროის სხვადასხვა მონაკვეთში ლოკალური ანსეთეტიკების დამატების შემდეგ L-NAME-ს მოქმედების ფონზე

ადგილობრივი სისხლის ნაკადი		დრო, წთ			
ფონური მნიშვნელობა	L-NAME-ს ინგრიდიენტის შემდეგ	10	30	60	90
2% ლიდოკაინი					
90 ± 6.5	77 ± 7.6	84 ± 6.9	82 ± 7.3	84 ± 6.2	83 ± 7.7
2% ლიდოკაინი + ადრენალინი (1:100000)					
84 ± 7.8	67 ± 8.9	20 ± 7.7	14 ± 6.5	31 ± 6.6	56 ± 9.5
3% მეპივაკაინი					
92 ± 7.8	78 ± 8.2	63 ± 6.6	60 ± 8.4	74 ± 8.8	77 ± 9.1

სურათი 2



მიღებული მონაცემების როგორც რაოდენობრივი, ისე პროცენტული გამოსახვა ნათლად მოწმობს, რომ აზოტის ოქსიდის გენერაციის ინპიპირებამ ნიტრო-L-არგინინ მეთოდ ესტერით მკვეთრად გამოხატული გავლენა მოახდინა დროილში ლოკალური ანესთეტიკებით გამოწვეულ ადგილობრივი სისხლის ნაკადის ცვლილებებზე. ერთ-ერთი ასეთი ცვლილება არის ის, რომ სუფთა ლიდოკაინის ინექციამ აღარ გამოიწვია ადგილობრივი სისხლის ნაკადის მატება. უფრო მეტიც, ნათლად

გამოხატული იყო მისი ნაწილობრივი შემცირების ტენდენცია. ამასთან ერთად, ლიდოკაინისა და ადრენალინის კომბინირებული ინექციის საპასუხოდ სისხლის ნაკადის რაოდენობრივი შემცირება მნიშვნელოვანზე იღებად უფრო ძეგლად იყო გამოხატული წინა სერიის ცდებთან შედარებით. რაც შეეხება სისხლის ნაკადის რეაქციას მეპიგაკაინის ინექციაზე, აქ, წინა სერიის ცდებთან შედარებით, მე-10, 30-ე წუთებზე ინექციის შემდეგ სისხლის ნაკადის დონე დაახლოებით 10%-ით უფრო დაბალი იყო (სურ. 2).

შედეგების განხილვა

ლოკალური ანესთეტიკების კლასიფიკაცია ხდება მათი ამიდური ან ეთერული კავშირებით. კერძოდ, ისეთი ლოკალური ანესთეტიკები, როგორიცაა ლიდოკაინი, არტიკაინი, ბუპივაკაინი, მეპივაკაინი და პრილოკაინი, მიეკუთვნება ამიდურ კლასს, ხოლო ეთერულ კლასს – ბეზოკაინი და ამ კლასის პროტოპიად ითვლება პროკაინი, რომელიც პრაქტიკულად ამოღებულია სტომატოლოგიური პრაქტიკიდან. ლოკალური ანესთეტიკის მოქმედების ხანგრძლივობა დამოკიდებულია დროის იმ მონაკვეთზე, რომლის განმავლობაში ანესთეტიკი ბლოკაჟს ნატრიუმის არხს. ვინაიდან ლოკალური ანესთეტიკების უმეტესობას (შევვანილს სხვა დამატებითი კომპონენტის გარეშე) ახასიათებს ვაზოდილატაციის თვისება, რის გამოც ხდება მათი სწრაფი გამოტანა მოქმედების სამიზნე ადგილიდან, მათი ინტრაორალური მოქმედების პერიოდი საკმაოდ ხანმოკლეა [4]. ამის გამო ლოკალურ ანესთეტიკათან ერთად, როგორც წესი, შეყვავთ ვაზოკონსტრიქტორი, უმეტესწილად ადრენალინი, რომლის მეშვეობით ხდება ლოკალური ანესთეტიკის როგორც ხანგრძლივობის, ისე მისი მოქმედების უფექტურობის ზრდა. ამასთან ერთად, ვაზოკონსტრიქტორი ამცირებს ლოკალური ანესთეტიკის შესაძლო სისტემურ ტოქსიკურ ეფექტს და უზრუნველყოფს პერმოსტაზს.

წარმოდგენილ ნაშრომში ჩვენ შევისწავლეთ აზოტის ოქსიდის შესაძლო როლი მხოლოდ ორი ლოკალური ანესთეტიკის მოქმედებაში ღრძილში არსებული სისხლის ნაკადის დონეზე. როგორც ვნახეთ, ლიდოკაინის კარგად ცნობილი ვაზოდილატატორული ეფექტი დაითვალისწინება აზოტის ოქსიდის არასელექტიური სინთაზას ნიტრო-L-არგინინ მეთილ ესტერის მოქმედების ფონზე. ბუნებრივია, რომ ეს გვაძლევს საფუძველს ვიგარაულოთ, რომ 2%-ანი სუფთა ლიდოკაინის ხსნებული ვაზოდილატატორული ეფექტი განპირობებული უნდა იყოს აზოტის ოქსიდით. ამავე დროს, მეპივაკაინის შემთხვევაში აზოტის ოქსიდის სინთეზის ბლოკირებამ სტატისტიკურად სარწმუნოდ გააღმავა მეპივაკაინის ვაზოკონსტრიქტორული ეფექტი, რაც უნდა მიუთითობდეს იმაზე, რომ ნორმის შემთხვევაში აზოტის ოქსიდი ამცირებს მეპივაკაინის ვაზოკონსტრიქტიულ მოქმედებას.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, მიგაჩნია, რომ აუცილებელია გაირევეს, თუ რა გზით ხდება ლიდოკაინის მიერ აზოტის ოქსიდის სინთაზას (და კერძოდ, რომელის) აქტივაცია და რა მექანიზმით არის განპირობებული მეპივაკაინის ვაზოკონსტრიქტორული ეფექტი.

ლიტერატურა

1. წილობანი ბ., აზიური გ., საყვარელი ბ., ნებიური დ. საქ. მეცნ. აკად. მაცნე, ბიოლ. ბიოლ. სერია A, 2006, 32, 3, 677-687.
2. Adrete J., Narang R., Sada T., Liem S., Miller G. J. Am. Dent. Assoc., 94, 6, 1977, 1142-1145.
3. Aukland K. Acta Neurol. Scand., 1965, 41, 14, Suppl., p.42-45.
4. Haas D.A. J. Can. Dent. Assoc., 2002, 68, 9, 546-551.
5. Heavner J., Shi B., Pitkanen M. Anesth. analg., 1999, 88, 717.
6. Moore P.A. In: Medical emergencies in dentistry (eds.: Bennet J.D., Rosenberg M.B.), Philadelphia Saunders, 2002, 447-459.
7. Toda N., Okamura T. Pharmacol. Rev., 2003, 55, 271-324.
8. Wimalawansa S.J. Endocrine Review, 1996, 17, 5, 533-585.

АНАЛИЗ ГЕМОДИНАМИЧЕСКИХ ОСОБЕННОСТЕЙ ДЕЙСТВИЯ ЛОКАЛЬНЫХ АНЕСТЕТИКОВ (ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНОЕ ИССЛЕДОВАНИЕ НА ДЕСНАХ БЕЛЫХ КРЫС)

**М. Плясунова¹, Н. Сакварелидзе², Н. Цилосани³, М. Pruitt², И. Квачадзе²,
Г. Бекая¹**

¹ Тбилисская медицинская академия им. П. Шотадзе; ² Тбилисский государственный медицинский университет; ³ Клиника “Альма-дент”

РЕЗЮМЕ

В представленной работе изучена возможная роль оксида азота в формировании уровня местного кровотока в десне при действии таких локальных анестетиков как лидокаин и мепивакаин. Установлено, что хорошо известный вазодилататорный эффект чистого лидокаина не реализуется на фоне действия неселективного ингибитора синтазы оксида азота. Это дает нам основание предположить, что вазодилататорный эффект лидокаина реализуется с участием оксида азота. Вместе с тем, в случае мепивакаина, блокирование синтеза оксида азота усилило вазоконстрикторное действие данного локального анестетика, что должно указывать на то, что в норме оксид азота ослабляет вазоконстрикторный эффект мепивакаина.

ANALYSIS OF HEMODYNAMIC FEATURES OF LOCAL ANESTHETICS (EXPERIMENTAL STUDY ON RAT'S GUMS)

*M. Plyasunova¹, N. Sakvarelidze², N. Tsilosani³, M. Pruidze², I. Kvachadze²,
G. Bekaya¹*

¹P. Shotadze Tbilisi Medical Academy; ²Tbilisi State Medical University; ³Clinic “Alma-dent”

SUMMARY

In the present study we investigated the possible role of Nitric Oxide in the formation of the hemodynamic features in the gums under the influence of local anesthetics (lidocaine and mepivacaine). It has been confirmed that the vasodilatatory effect of pure lidocaine does not appear on the background of non-selective inhibition of nitric oxide production by L-NAME. This gives the possibility to assume that the vasodilatatory effect of lidocaine is mediated by participation of nitric oxide. However, in the case of mepivacaine, its vasoconstrictive effect has been increased on the background of L-NAME, which should indicate that in normal conditions Nitric Oxide attenuates vasoconstrictor effect of mepivacaine.



ეპილეფსიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო ლიგისტ (ILAE)
განმარტებით ეპილეფსიური ენცეფალოპათია არის მდგომარეობა, რომლის
დროს ეპილეპტიფორმული გადახრები განაპირობებს ცერებრული ფუნ-
ქციების პროგრესიონებად დარღვევებს. ბავშვებში იგი მანიფესტირდება
განვითარების პროგრესის შეფერხებით და უკვე შეძენილი ცერებრული
ფუნქციების დაკარგვით [3, 6].

ეპილეფსიურ ენცეფალოპათიებს მიეკუთვნება: ადრეული მიოკლონური
ენცეფალოპათია, Ohtahara-ს სინდრომი, West-ის სინდრომი, Dravet-ის სინ-
დრომი (ჩვილობის მძიმე მიოკლონური ეპილეფსია), Lennox-Gastaut-ის სინ-
დრომი, Landau-Kleffner-ის სინდრომი და ეპილეფსია პიკ-ტალღოვანი სტა-
ტუსით ნელ ძილში. ტრანზიტორული ეპილეფსიური ენცეფალოპათია შეიძ-
ლება გამოვლინდეს იმ შემთხვევებშიც, როცა არ არის რომელიმე ზემოთ
აღნიშნული სინდრომი, მაგრამ ნეიროგანვითარებითი შეფერხების მიზეზი
ხდება ეპილეფსია და არა ძირითადი დაავადება [2, 9].

ეპილეფსიური ენცეფალოპათიები ძირითადად იწყება ჩვილობაში, უპ-
რატებად სიცოცხლის პირველ წელს. მათი შორეული პროგნოზი და, გან-
საკუთრებით, კოგნიტური გამოსავალი მჭიდროდ უკავშირდება ეტიოლო-
გიურ ფაქტორს და ეპილეფსიის ევოლუციას, თუმცა ენცეფალოპათიის
გენეზში კონკრეტულად რა როლი აქვს ეპილეფსიას და რა ეტიოლოგიას,
ჯერჯერობით გარეული არ არის [8].

სამი ძირითადი გამოვლინება – კოგნიტური, ქცევითი და ეპილეფსიური
ერთობლივად უკავშირდება ცერებრული კორტიკული რუხი ნივთიერების
დაზიანების. ეპილეფსია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კოგნიტურ, ქც-
ვით და ზოგჯერ მოტორულ გამოსავალზეც, რამაც შესაძლოა შეცვალოს
ტვინის სკანირების საფუძველზე გამოთქმული საწყისი პროგნოზი, ანუ
ასეთმა მდგომარეობამ შესაძლოა გააუარესოს ბავშვის განვითარების
ტრაექტორია ტვინის დამატებითი დაზიანების გარეშე და დაემსგავსოს
პროგრესიონებად დაავადებას [7]. ასეთ შემთხვევებში ეპილეფსია და, გან-
საკუთრებით, სუბ-კლინიკური ეპილეფსია იწვევს ენცეფალოპათიას, აქვთ
თებს უნარ-ჩვევებს და ცვლის ქცევას. არსებობს კვლევებით დადასტუ-
რებული მოსაზრება, რომ ხშირი (30 წმ-ში – 1) ეპილეპტიფორმული
განმუხტვები ცვლის ტრანზიტორულ კოგნიტურ ფუნქციებს (რეაქციის
დროს), რაც აქუმულირებისას საბოლოო ჯამში აქვეითებს ინტელექტის
კოეფიციენტს (IQ) [10, 11].

ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა ეპილეფსიური ენცეფალოპათიების
პროგნოზის განსაზღვრა ნევროლოგიური გამოსავლის, კერძოდ კოგნი-
ტური სფეროს დინამიკის თვალსაზრისით.

მასალა და მთოლება

შრომა უფრონება 2008-2010 წლებში მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა
ცენტრალური საავადმყოფოს “ნეირომეცნიერებათა დეპარტამენტსა“ და
“ბავშვთა ნევროლოგიისა და ნეირორეაბილიტაციის ცენტრში“ დაქვი-
ვების ქვეშ მყოფი ეპილეფსიური ენცეფალოპათიის სხვადასხვა სინდრო-

მების მქონე 69 პაციეტს. საკვლევი ჯგუფი გულყრების დაწყების ასაკის მიხედვით გაიყო ორად: I საკვლევ ჯგუფში გაერთიანდა ადრეულ ჩვილობაში – 1 წლამდე განვითარებული ეპილეფსიური სინდრომები (51 შემთხვევა), ხოლო II საკვლევ ჯგუფში – 1 წლის ზემოთ 3 წლამდე განვითარებული სინდრომები (18 შემთხვევა). დაკვირვების ქვეშ მყოფ საკვლევ ჯგუფებში ვერ მოხვდა გპილეფსიური ენცეფალოპათიის ძალზე იშვიათი სინდრომები Landau-Kleffner-ი და გპილეფსია პიკტალლოვანი სტატუსით ნელ ძილში.

ორივე საკვლევ ჯგუფში ჩატარებული ნეიროვიზუალიზაციური კვლევის მეთოდების (ნეიროსონოგრაფია, თავის ტენის მაგნიტურ-რეზონანსული ან კომპიუტერული ტომოგრაფია) საფუძველზე გამოყოფილ იქნა ეტიოლოგიური ფაქტორი – სიმპტომური და კრიფტოგენური.

ეს კვლევა ტარდებოდა Nicolet-ის ფირმის (აშშ) ციფრული ელექტრონცეფალოგრაფიით რამდენიმეჯერ: სინდრომის დიაგნოსტირებისას, მკურნალობის დაწყების ფონზე გულყრების კუპირებისას, ერთი თვის მერე და შემდგომ 3 თვიანი ინტერვალებით, რაც საშუალებას იძლეოდა შეფასებულიყო საბოლოო ეპილეფსიური სინდრომი.

ნევროლოგიურ-კოგნიტურ სტატუსზე და ეპილეფსიის დინამიკაზე დაკვირვება ხდებოდა სინდრომის დიაგნოსტირებიდან 2 წლის მანძილზე.

მენტალური განვითარების შეფასებისთვის ორივე საკვლევ ჯგუფში სინდრომის დიაგნოსტირებისას გამოყენებულ იქნა ჩვილის განვითარების Bayley-ის სკალა [1] (1 თვიდან 3.5 წლამდე – მიმე, საშუალო, მსუბუქი კოგნიტური შეფერხება და ნორმის ვარიანტი), ხოლო მკურნალობის დაწყებიდან 2 წლის შემდეგ უმეტეს შემთხვევებში გამოყენებულ იქნა კვლავ Bayley-ის სკალა, და მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში – Weksler-ის სკალა ბავშვებისთვის. დამატებით, შეფასება ხდებოდა ეპილეპტიფორმული აქტიურობის სუპრესიის შემდგომაც. კოგნიტურ სფეროსთან ერთად ასევე ფასდებოდა ქვევა (არაოპტიმალური, მოსახლეობა, ასაკობრივი ნორმა). სტატისტიკურად დამუშავდა მხოლოდ კოგნიტური სფეროს შეფასების საწყისი და საბოლოო, 2 წლის შემდეგ მიღებული შედეგები.

დროულ მკურნალობად შეფასდა ის შემთხვევები, სადაც აღევატური თერაპია დაიწყო ეპილეფსიური ენცეფალოპათიის სინდრომის გამოყლებიდან ერთ თვეში, ხოლო დაგვიანებულად – ერთი თვის შემდეგ დაწყებული მკურნალობა.

მოტორული განვითარების შესაფასებლად გამოყენებულ იქნა Milani-Comparett-ის სკრინინგ-ტესტი [4]. შორეული ნევროლოგიური სტატუსი 2 წლის ასაკისთვის ცერებრული დამბლის არსებობის შემთხვევაში ფასდებოდა ცერებრული დამბლის სიმძიმის მიხედვით Russman და Gage-ის (1989) კლასიფიკაციით (მსუბუქი, საშუალო, მიმდევად 50-59% და მეტად 60-69%).


მასალის სტატისტიკური დამუშავება მოხდა SPSS კომპიუტერული პროგრამით (ვერსია 11.0).

შედეგები და გათი განხილვა

ჩვენ მიერ ჩატარებულ კვლევაში კველაზე ხშირი ეპილეფსიური ენცეფალოპათიის სინდრომი იყო West-ის სინდრომი – 52.2%, რომლის

ხევდრითი წილი I საკელევ ჯგუფში შეადგენდა 70.6%-ს, Lennox-Gastaut-ის სინდრომი დიაგნოსტირებულ იქნა 20.3%-ში, ადრეული მოკლონური ენცეფალოპათია და Ohtahara-ს სინდრომი – თითოეული 2.9%-ში, Dravet-ის სინდრომი – 1.4%, 1 შემთხვევა (1.4%) შეფასებულ იქნა, როგორც გარდამალი ფორმა West-ისა და Lennox-Gastaut-ის სინდრომებს შორის, ხოლო 15.9%-სა და 2.9%-ში ეპილეფსიურ ენცეფალოპათიას თან ახლდა, შესაბამისად, სიმპტომური გენერალიზებული და სიმპტომური პარციალური ეპილეფსია. ორი პაციენტი ვერ იქნა ჩართული პროგნოზულ შეფასებაში: ერთი ადრეული მოკლონური ენცეფალოპათიის დიაგნოზით (გარდაიცვალა 7 თვის ასაკში), ხოლო მეორე – Dravet-ის სინდრომით (გარდაიცვალა პელეფის დამთავრების შემდეგ, 5 წლის ასაკში წითელას ფონზე).

ეპილეფსიური ენცეფალოპათიების სინდრომების დიაგნოსტირებისას მძიმე კოგნიტური შევერხება 69 შემთხვევიდან აღნიშნებოდა 57-ს (82.6%), საშუალო – 9-ს (13%), მსუბუქი – 3-ს (4.3%). აღსანიშნავია, რომ არაოპტიმალური ქცევა ვლინდებოდა ყველა შემთხვევაში. სინდრომის დიაგნოსტირებისა და მუზრნალობის დაწყებიდან 2 წლის შემდეგ მძიმე კოგნიტური ჩამორჩენა გამოუვლინდა 13-ს (18.8%), საშუალო – 44-ს (63.5%), მსუბუქი – 7-ს (10.1%), ასაკობრივი ნორმა – 5-ს (7.2%). ეს მონაცემები მიუთითებს ეპილეფსიური ენცეფალოპათიების ასოცირებას უხეშ კოგნიტურ პრობლემებთან, თუმცა ხაზს უსვამს, რომ ადეკვატური მკურნალობა ძალის აუმჯობესებს კოგნიტური სფეროს მაჩვენებლებს (დიაგრამა 1).



დიაგრამა 1. კოგნიტური სფეროს მაჩვენებლების დინამიკა სინდრომის დიაგნოსტირებისას და 2 წლის შემდეგ ადეკვატური მკურნალობის ფონზე ორივე საკელევ ჯგუფში

ეპილეფტიფორმული აქტიურობის სუპრესიის მიღწევისას ყველა შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ქცევის მოწესრიგებას მძიმე მენტალური რეტარდაციის შემთხვევებშიც კი, რაც ძირითადად გამოიხატებოდა ყურადღების მოცულობის გაზრდაში, პოზიტიური დამოკიდებულის მომატებასა

და ემოციური ლაბილობის შემცირებაში. ხოლო რელაფსების დროს მენტალური შეფერხების გაღრმავებასთან ერთად კლინდებოდა არაოპტიმური ქცევა.

ამრიგად, თუ შევადარებო კოგნიტური ფუნქციების კვლევის შედეგებს ორივე საკვლევ ჯგუფში, ვნახავთ, რომ ეპილეფსიური ენცეფალოპათიის დიაგნოსტირებისას და მეურნალობის დაწყებიდან 2 წლის შემდეგ კლინდება მკეთრი დადებითი დინამიკა როგორც კოგნიტური, ისე ქცევითი დარღვევების მხრივ, რაც სტატისტიკურად სარწმუნოა ($p < 0.01$, Spearman-ის კორელაციის კოუფიციენტი $r = 0.7$).


აღსანიშნავია, რომ მკურნალობის დაწყებიდან 2 წლის შემდეგ 13 მდიმე მენტალური რეტარდაციის შემთხვევიდან 11 (92.3%) არის I საკვლევი ჯგუფიდან: 10 – West-ის სინდრომი, 1 – ადრეული მიოკლონური ენცეფალოპათია. II საკვლევი ჯგუფიდან მხოლოდ ორი: 1 შემთხვევა Lennox-Gastaut-ის სინდრომით, 1 – სიმპტომური გენერალიზებული ეპილეფსია (პოსტინფექციური), რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხახს 1 წლამდე დაწყებული ეპილეფსიური ენცეფალოპათიების სიმბიმეს, ანუ ეპილეპტიფორმული აქტიურობის ზემოქმედების როლს კოგნიტურ სფეროზე ადრეულ ჩვილობაში.

ხუთი ასაკობრივი ნორმის მქონე შემთხვევიდან ორი არის West-ის სინდრომი (ორივე შემთხვევაში სააზმები ასოცირებული იყო გვიან დიაგნოსტირებულ ცენილეპტიონურიასთან), ორი – Lennox-Gastaut-ის სინდრომი, ერთი – სიმპტომური პარციალური ეპილეფსია.

ჩვენ მიერ ორივე საკვლევი ჯგუფის პაციენტებში შეფასებულ იქნა კოგნიტური მაჩვენებლების დინამიკა ადეკვატური მკურნალობის დროული და დაგვიანებული დაწყების შემთხვევებში, ვინაიდან ეპილეპტიფორმული აქტიურობის დროული სუპრესია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეპილეფსიური ენცეფალოპათიების მართვაში. აღმოჩნდა, რომ მკურნალობის დროულად დაწყების შემთხვევებში კოგნიტური სფეროს ასაკობრივი ნორმა 2 წლის შემდეგ გამოვლინდა 9.4%-ში (რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ასაკობრივი ნორმის ვარიანტი არცერთ შემთხვევაში არ ყოფილა სინდრომის დიაგნოსტირებისას), ხოლო მკურნალობის გვიან დაწყებისას – 0%-ში. აღსანიშნავია, რომ ამ ოვალსაზრისით მდიმე, საშუალო და მსუბუქი კოგნიტური შეფერხების განაწილების მხრივ სხვაობა არ გამოვლინდა (დროული მკურნალობისას – 18.9%, 62.3%, 9.4%, დაგვიანებული მკურნალობის ფორჩე, შესაბამისად, 13.3%, 73.3%, 13.3%). ამრიგად, მივიღეთ, რომ ადეკვატური მკურნალობის დროული დაწყების უპირატესობა სტატისტიკურად სარწმუნო არ არის, ანუ ეპილეფსიური ენცეფალოპათიების კოგნიტური გამოსავალი არ არის დამოკიდებული აღვევატური მკურნალობის დაწყების დროზე (დიაგრამა 2).

ზოგადად, ნევროლოგიური გამოსავლის მხრივ, ეპილეფსიური სინდრომის დიაგნოსტირებიდან 2 წლის შემდეგ, მთლიანად ორივე საკვლევ ჯგუფში, ძალიან მაღალ პროცენტში (86.9%) გამოვლინდა სხვადასხვა სიმბიმის ცერებრული დამბლა. ამასთან, გულყრების გამოვლენამდე უსიქომოტორული შეფერხება დაფიქსირდა 87%-ში. სიმპტომური ეტიო-

ლოგიური ფაქტორი გამოვლინდა 95.7%-ში და შემთხვევების მხოლოდ 4.3% შეფასებულ იქნა კრიფტოგენურად.



დიაგრამა 2. კოგნიტური სფეროს მაჩვენებლების დინამიკა ადგევატური მკურნალობის დროული და გვიანი დაწყების შემთხვევებში

ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნები:

- ეპილეფსიური ენცეფალოპათიის დიაგნოსტირებისას კოგნიტური სფეროს შეფასებით მიღებული შედეგები (82.6%-ში – მძიმე შეფერხება, 13%-ში – საშუალო, მსუბუქი – მხოლოდ 4.3% და არც ერთი ასაკობრივი ნორმა) ასახავს ეპილეპტიფორმული აქტიურობის უხეშ ზემოქმედებას განვითარებად თავის ტვინზე.
- ეპილეფსიური ენცეფალოპათიების კოგნიტური გამოსავალი მძიმეა: 2 წლის შემდეგ მძიმე შეფერხება აღინიშნა 18.8%-ში, საშუალო – 63.5%-ში, მსუბუქი – 10.1%-ში, ხოლო ასაკობრივი ნორმა – მხოლოდ 7.2%-ში; ამ მხრივ განსაუთრებით გამოირჩევა 1 წლამდე ასაკში დაწყებული ეპილეფსიური ენცეფალოპათიები. მძიმე შეფერხების 92.3% I საკვლევი ჯგუფის პაციენტებია.
- ორივე საკვლევ ჯგუფში ეპილეფსიური ენცეფალოპათიის დიაგნოსტირებისას და მკურნალობის დაწყებიდან 2 წლის შემდეგ კოგნიტური ფუნქციების კვლევის შედეგების ერთმანეთთან შედარებით ვლინდება მკეთრი დადებითი დინამიკა როგორც კოგნიტური, ასევე ქცევითი დარღვევების მხრივ ($p < 0.01$, Spearman-ის კორელაციის კოეფიციენტი $r = 0.7$), რაც ადგევატური მკურნალობის ეფექტურობაზე მიუთითებს.
- კოგნიტური გამოსავალის მხრივ, ეპილეფსიური ენცეფალოპათიების დროული ადეგავატური მკურნალობის უპირატესობა მკურნალობის გვიან დაწყებასთან შედარებით თვალსაჩინოა, მაგრამ სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობა არ არის.

- ეპილეფსიური ენცეფალოპათიები ხშირად ასოცირებულია როგორც კონვიტური, ასევე სერიოზულ მოტორულ პრობლემებთან. ორივე საკვლევ ჯგუფში 2 წლის შემდეგ 86.9%-ში დადგინდა სხვადასხვა სიმძიმის ცერებრული დამბლა.

ლიტერატურა

1. Bayley N. Bayley Scales of Infant Development. Second Edition, 1993.
2. Blume W.T., Luders H.O., Mizrahi E., Tassinari C., van Emde B.W., Engel J. Journal of Paediatric Neurology. 2001, 5 (5), A62.
3. Engel J. Epilepsia, 2001, 42, 1212-8.
4. Milani-Comparetti. Motor Development Screening Test for Infants and Young Children. A Manual. University of Nebraska Medical Center, 1998, 40, 485-491.
5. Miller G., Clark G.D. The Cerebral Palsies, Causes, Consequences, and Management Boston, Butterworth-Heinemann, 1998.
6. Panayiotopoulos C.P. A Clinical Guide to Epileptic Syndromes and their Treatment. Bladon Medical Publishing, 2002, 4, 35-42.
7. Riikonen R.S. Eur. J. Paediatr. Neurol., 2009, 11, 2010, 14 (1), 13-18. .
8. Stephani U. European J. Epilepsia, 2001, 42, 796-803.
9. Stephen L.J., Broie M.J. Epilepsia, 2004, 45(1), 1-4.
10. Terney D., Alving J., Skaarup C.N., Wolf P., Beniczky S. Epilepsy Res., 2010, 90(3), 228-33.
11. Tromp S.C., Weber J.W., Aldenkamp A.P., Arends J. et al. J. Child Neurol., 2003, 18, 6, 407-413.

КОГНИТИВНЫЙ ИСХОД ЭПИЛЕПТИЧЕСКИХ ЭНЦЕФАЛОПАТИЙ

Н. Татишвили, Л. Кандарели, Е. Аревеладзе, Ц. Сирбигладзе, М. Зиракашвили

Центр детской неврологии и нейрореабилитации, Тбилиси; Детская Центральная больница им. М. Иашвили, Тбилиси; Государственный университет Ильи, Тбилиси

РЕЗЮМЕ

Эпилептические энцефалопатии (ЭЭ) манифестируются задержкой развития и регressом приобретенных церебральных функций у детей.

Целью исследования было изучение когнитивного исхода ЭЭ и оценка эффективности лечения в связи с динамикой когнитивной сферы.

69 больных, с различными синдромами ЭЭ, были разделены на 2 исследуемые группы по возрасту проявления эпиприпадков: I группа – эпизиндромы, развившие до 1 года (51 случаев) и II группа – с 1 года до 3 лет (18 случаев). Для оценки когнитивного исхода и эффективности лечения в связи с динамикой когнитивной сферы была использована шкала Bayley. Наблюдение проводилось в течение 2 лет после диагностики синдрома ЭЭ.

Из общего числа синдромов ЭЭ самым частым оказался синдром West-a (52.2%).

При диагностике синдромов тяжелое когнитивное отставание отмечалось в 82.6% случаев, в 13% – средней и в 4.3% – легкой степени, что указывает на то, как грубо влияет эпилептиформная активность на развивающийся головной мозг.

Через 2 года после лечения тяжелое когнитивное отставание отмечалось в 18.8%, в 63.5% – средней, в – 10.1% легкой степени и в 7.2% – возрастная норма. Из числа тяжелого

когнитивного отставания 92.3% случаев относятся к I группе, что указывает на тяжесть ЭЭ, развившихся до года жизни.

При сравнении исходных и окончательных результатов отмечается резкая положительная динамика, что указывает на эффективность лечения ($p < 0.01$).

COGNITIVE OUTCOME OF EPILEPTIC ENCEPHALOPATHIES

N. Tatishvili, L. Kandareli, E. Arveladze, Ts. Sirbiladze, M. Zirakashvili

The Center of Child Neurology and Neurorehabilitation, Tbilisi; M. Iashvili Children's Central Hospital, Tbilisi; Ilia State University

SUMMARY

Epileptic encephalopathies (EE) are manifested with delay in the development and regression of acquired cerebral functions in children.

The goal of the study was to investigate the cognitive outcome of epileptic encephalopathies and the efficacy of treatment in correlation of cognitive function dynamics by "Bailey Scales of Infant Development".

Total of 69 patients with EE were included into the research groups according to the following criteria: I group – 51 cases with early started seizures (before 1 year of life) and II group – 18 cases with started seizures after 1 year of life. We have observed cognitive outcome and the efficacy of treatment during 2 years after the qualification of epileptic syndrome.

The study has revealed that West syndrome was the most common EE in both groups (52.2%). When the epileptic syndrome was qualified, the assessment of cognitive functions revealed severe retardation in 82.6%, moderate – in 13% and slight retardation only in 4.3% of cases. After 2 years of the treatment we have established severe retardation in 18.8%, moderate – in 63.5%, slight retardation in 10.1% and normal development only in 7.2% of cases. In 92.3% of cases severe retarded patients were from the I group.

According to our data, early started (within the first year of life) EE are associated with poor cognitive outcome. The assessment of efficacy of treatment in correlation with cognitive functions revealed positive changes ($p < 0.01$).

საქ. მეცნ. ეროვნ. აკად. მაცნე, ბიომედ. სერია, 2012, ტ. 38, № 1-2

Известия нац. АН Грузии, биомед. серия, 2012, т. 38, № 1-2

Proc. Georgian Nat. Acad. Sci., Biomed. Series, 2012, vol. 38, No 1-2

რაიტორაპის გელიპო-ბიოლოგიური

საფუძვლები ღისაღაზოური და სტატიპიპური

სპოლიოზების მძურნალობასა და პრევენციაზე

(ლიტერატურის მიმოხილვა)

ე. შემაბერიძე, მ. ლორია, ი. მერაბიშვილი, ხ. სავანელიძე

კ. შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია, საქართველო

მიღებულია 21.03.2012

მოცემულ მიმოხილვით სტატიაში ყურადღება ეთმობა დისპლაზიური და სტატიკური სკოლიოზების გავრცელებას, მათი გამოვლინებების კლინიკურ თავისებურებებს, მეურნალობის ეფექტური მეთოდების ძიების მნიშვნელობას, რაიტორაპიის მეთოდის განვითარებას საქართველოში, მის პათოგენეზურ არსების დისპლაზიური და სტატიკური სკოლიოზების დროს, ასევე სამეურნალო ცხვნისნობის შესაძლო ეფექტურობის განსაზღვრას ანატომიური ფეხმოკლეობით გამოწვეული სტატიკური სკოლიოზის დროს.

საკვანძო სიტყვები: რაიტორაპია, რეაბილიტაცია, დისპლაზიური სკოლიოზი, პრევენცია, სტატიკური სკოლიოზი

თავისი გავრცელებისა და მეურნალობის სირთულის გამო სკოლიოზი თანამედროვე მედიცინის აქტუალურ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება [8, 10, 42].

ადამიანის ვერტიკალურზონაციასთან დაკავშირებით, მის ორგანიზმში მოხდა მთელი რიგი ცვლილებები და რეორგანიზაცია, რომელმაც მუდმივი რისკ-ფაქტორები შეუქმნა ძვალსასეროვან სისტემას და განაპირობა ხერხემლის სვეტის გადატვირთვით გამოწვეული ცვლილებები, მათ შორის სკოლიოზები. მორფოლოგიური ცვლილებების მიხედვით, განასხვავებენ სტრუქტურულ და არასტრუქტურულ სკოლიოზს [19, 20, 37]. დისპლაზიური სკოლიოზი განეკუთვნება სტრუქტურულს, ხოლო ქვედა კიდურის სიმოკლით გამოწვეული სტატიკური სკოლიოზი - არასტრუქტურულს. ეტიოლოგია ბოლომდე შესწავლილი არ არის.

დისპლაზიური სკოლიოზის დროს ცვლილებები იწყება მალთაშუა დისკის პულპოზურ ბირთვში [19], რაც იწვევს მის დეცენტრირებას. პროცესი გადადის ფიბროზულ რგოლებზე, მალთაშუა დისკის ხრტილოვან

ფირფიტებზე და, საბოლოოდ, მაღლაშეუა დისკი იღებს სოლისურუ ფორმას, რაც ტორსიოს დასაწყისია. შემდეგ პროცესი გადადის მაღლების სხეულებზე, მყესებზე, კუნთებზე და იქმნება გამრუდების პირველადი რკალი. ტორსიოს საფუძველზე განვითარებული ხერხემლის დეფორმაციები, გულმარტის დეფორმაციებთან ერთად, სერიოზულ ფუნქციურ და კოსმეტიკურ პრობლემებს უქმნის მოზარდს [39, 40, 44, 49, 52].

საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის სხვადასხვა ხასიათის პათოლოგიების გამოვლინების თვალსაზრისით, ტანადობის დარღვევა და ხერხემლის დეფორმაციები ბავშვებში წარმოადგენს მრავალრიცხოვან ჯაუჭა სხვადასხვა მონაცემებით, ხერხემლის სტატიური დეფორმაციები 23.2%-ს შეადგენს [15, 16, 19, 20, 26]. სხვა ავტორთა [29, 30] მიხედვით, სტრუქტურული სკოლიოზი მოზარდების 2%-დან 9%-მდე, ხოლო არასტრუქტურული, ანუ ფუნქციური სკოლიოზი და ტანადობის დარღვევა 40.7%-დან 53.3%-მდეა. ამასთანავე, ხერხემლის ფრონტალური დეფორმაციის ძირითად მიზეზებად მკვლევართა მიერ სახელდება: პათოლოგიური აფფრენტაცია ან პარავერტებრალური ეუნთების კონტრაქტურა; დისპლაზიური სინდრომი; სისხლის მიმოქცევის სუბკომპენსირებული და სამშობიარო ტრავმის შედეგად განვითარებული პირამიდული დარღვევები; თემო-სუკის ეუნთის კონტრაქტურა, ქვედა კიდურების სახსრების კონტრაქტურა გამრუდების შეზნექილ მხარეს და ანატომიურად მოკლე კიდური [12, 14, 38].

С.Л. Щербани-ის [38] მონაცემებით, მოზარდებში გამოიყოფა ბავშვების მნიშვნელოვანი ჯგუფი ქვედა კიდურებს შორის სიგრძის მცირე სხვაობით, რისი მიზეზიც თემო-სუკის კუნთის კონტრაქტურა ან მისი იდიოპათიური დამოკლებაა, რაც იწვევს მენჯის გვერდით დახრას. ვერტიკალური მდგომარეობის შენარჩუნებისთვის ხერხემალ-მენჯის კუთხის სტატიურ-დინამიკური მდგომარეობის შეცვლის ხარჯზე ვითარდება ხერხემლის კომპენსატორული გამრუდების რეალი. ამგვარად, ყალიბდება ხერხემლის გამრუდების ერთ-ერთი ფორმა – ფუნქციური სკოლიოზი, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში 10° -ს არ აღემატება. პრაქტიკოსი ექიმისთვის ეს იმდენად საინტერესოა, რამდენადაც თავისი არასტრუქტურული ხასიათის გამო იგი მკურნალობას ემორჩილება [7, 9, 28, 29].

ამასთანავე საგულისხმოა, რომ ხანგრძლივად არსებული მანქიერი ტანადობისას, კუნთურ-მყესოვან აპარატში წარმოიქმნება მეორადი ხასიათის ფიქსირებული ცვლილებები. ასეთი მანქიერი მდგომარეობის შეცვლა ძალიან მნიშვნელოვანია ორგანიზმის სტატიკის დარღვევების დროული პროფილაქტიკისთვის [17, 36, 45, 47, 55].

ლიტერატურაში არსებობს მტკიცებულებები, რომ მოკლე ქვედა კიდური, არაოპტიმალური მოძრაობითი სტერეოტიპი, დახრილი ან როტირებული მენჯი შეიძლება იყოს სკოლიოზის მიზეზი, რასაც ხშირად სათანადო ყურადღება არ ეთმობა [11, 41, 46, 50, 53].

А. Вейн-ისა და მისი თანავეტორების [19] მონაცემებით, არათანაბარი სიგრძის ქვედა კიდურები ახალგაზრდების 92%-ს აღენიშნება. ეს მონაცემები ახლოსაა ბავშვებში ფრონტალურ სიძრტყეში ხერხემლის სკო-

ლიოზური დეფორმაციის რეალურ სიხშირესთან, რაც ამ პრობლემის აქტუალობაზე მიუთითებს.

სკოლიოზის შეტანამ ეროვნული და საერთაშორისო ფორუმების დღის წესრიგში ბევრი პროგრესული ცვლილება და სიახლე მოიტანა, თუმცა, ამ დაავადების ეტიოლოგიის, პათოგენეზისა და მკურნალობის საკითხები ბოლომდე ვერ გადაწყვიტა. ყოველივე ამან სხვადასხვა დარგის სპეციალისტების: ორთოპედების, ნევროლოგების, რეაბილიტოლოგების, ქირურების, ასევე ფიზიკური აღზრდის პედაგოგებისა და ა.შ., საყოველთაოდ გაზრდილი ინტერესი გამოიწვია.

ლიტერატურის მონაცემებით, სკოლიოზების კონსერვატულ მკურნალობასა და პროფილაქტიკური მეტად დიდია სამკურნალო ფიზკულტურის ხედრითი წილი. გამოიყენება: სამკურნალო ტანგარჯიში, რაიტერაპია, სამკურნალო მასაჟი, წერტილოვანი მასაჟი, ფიზიოთერაპია, ცურვა და სხვ. [6, 13, 20, 25, 27, 30, 31, 33, 48].

რაიტერაპიის გამოყენებას მკურნალობისა და პროფილაქტიკის მიზნით საფუძველი შეუქმნა პროფ. დ. წვერავას მიერ 60-იან წლებში საცხენოსნო სპორტში ჩატარებულმა კლინიკურ-ექსპერიმენტულმა კვლევებმა [32, 33]. მას და მის მიერ შექმნილ სკოლას უკავშირდება მეცნიერულად და-საბუთებული რაიტერაპიის სამედიცინო-ბიოლოგიური საფუძვლების დადგენა. პროფ. დ. წვერავას ხელმძღვანელობით, ფიზტ-ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფიზიოზოლოგიური და ბიომექანიკური მექანიზმების შესწავლის საფუძველზე დაგენილ იქნა ცხენის და მხედრის ურთიერთდამოკიდებულება. ასევე ვრცელ კლინიკურ მასალაზე იქნა შესწავლილი რაიტერაპიის ჩვენებები, პათოგენეზური მიღებომით შემუშავებულ იქნა რიგი დაავადებების მეთოდიკები: გულის იშემიური, პაციერტონული, საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის, ნერვული დაავადებების, აგრეთვე ოსტეოქონდროზის, სკოლიოზური დაავადების, ცერებრული დამბლების, ბავშვებში ყურადღების დეფიციტის პიკერაქტიური სინდრომისა და ინფორმაციული ნევროზის დროს [1-3, 18, 21-24, 27].

საქართველო ერთადერთი ქვეყანა იყო, რომელმაც პირველად მსოფლიოში რაიტერაპია გამოიყენა გულის იშემიური დაავადებების დროს და სამკურნალო ცხენოსნობა პირველად დანერგა მთელი რიგი ფსიქოსომატური ნოზოლოგიებებისას აღმოსავლეთ ევროპაში.

საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დაავადებების დროს რაიტერაპიის გამოყენებას საფუძვლად დაუდო პროფ. დ. წვერავას მიერ ცხენოსნობის ბიომექანიკაზე დაყრდნობით მხედრისა და ცხენის, როგორც ერთი მთლიანი ბიოლოგიური მოდელის, განხილვა [4, 5].

მსოფლიოში არსებული შრომების მცირე ნაწილი ამ მიმართულებით ხელმისაწვდომი გახდა მხოლოდ 1986-1987 წლებში, რამაც შეიძლება კიდევ განაპირობა ის მეცნიერული მიღწევები, რაც ქართული რაიტერაპიის სკოლას აქვს, რადგან იგი სრულიად დამოუკიდებლად განვითარდა.

სტატისტიკურად დადასტურებულია, რომ სკოლიოზის დროს დროულად დაწყებული კონსერვატიული მკურნალობა სარწმუნოდ ამცირებს ქირურგიული მკურნალობის ჩატარების აუცილებლობას [43].

რაიტორაპია ასევე ეფექტურია ქცევის დარღვევების, სწავლაში ზინქ-ლების და გონებრივი ჩამორჩენილობის დროს. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ცხენოსნობა, როგორც სპორტი ინვალიდებისთვის, ხელს უწყობს და აუქჯობესებს საერთო ჯანმრთელობასა და ფიზიკურ მომზადებას. ამავე დროს იგი წარმოადგენს ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის შესანიშნავ საშუალებას (The Horse, The Handicapped, The Riding Team in a Therapeutic Riding Program Engel, Galloway, 2004).

სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებული მტკიცებით მედიცინაზე დაფუძნებული კვლევებიც ადასტურებს რაიტორაპიის ეფექტურობას საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის ზოგიერთი პათოლოგიის დროს [54].

სკოლიოზის მკურნალობა დამოკიდებულია მის პათოგენეზზე [3, 19, 51]. დისპლაზიური სკოლიოზის შემთხვევაში ზემოქმედების მიზნად უნდა დაისახოს პირველ რიგში მალთაშუა დისკის პულპოზზური ბირთვის ცენტრირება ან ტენდენცია ცენტრირებისკენ, რასაც მოყვება ხერხემლის ირგვლივ კუნთური კორსეტის გაძლიერება, მოზარდის ფიზიკური განვითარების სწორად წარმართვა, ხერხემლის პიპერმობილობის შემცირება, გამრუდების პროგრესირების შეჩერება და ა.შ.

სტატიკური სკოლიოზის შემთხვევაში, რომლის პათოგენეზშიც წამყვანი მნიშვნელობა ფეხმოკლეობით გამოწვეულ კუნთურ დისბალანსს ენიჭება, პირველ რიგში რეაბილიტაციური ღონისძიებები მიმართული უნდა იყოს ლოკომოციის გაუქჯობესების, კუნთური დისბალანსის მინიმუმამდე დაუყანისკენ და სხვ, რათა თავიდან იქნას აცილებული მოსალოდნელი მეორადი გართულებები.

დისპლაზიური სკოლიოზის დროს რაიტორაპიის მაღალი შედეგი განპირობებულია ამ მეორდის არა მარტო პათოგენეზზური არსით, არამედ მისი პროცედურის კომპლექსურობით, რაც გამოიხატება იმაში, რომ ერთ პროცედურაში ზემოქმედება რამდენიმე ფაქტორზე ერთდროულად ხდება: პულპოზზურ ბირთვებზე, ტორსისა და ოქმო-სუკის კუნთებზე, ანტიგრავიტაციულ სისტემაზე და ა.შ. დაღვენილია დისპლაზიური სკოლიოზის რაიტორაპიით მკურნალობის დიფერენციალური მეთოდიკა ფორმის და ხარისხის გათვალისწინებით [4, 22]. დიდ მასალაზე შესწავლილია რაიტორაპიის ეფექტურობა ალტერნატიულ მეთოდებთან შედარებით, დააგენილია ჩვენებები და უკუჩვენებები, დასაბუთებულია რაიტორაპიაში მეცადინების დაწყების ასაკი და მისი პროგნოზი [24]. მაგრამ, ჩატარებულ კვლევებში არ არის შესწავლილი რაიტორაპიის როლი სტატიკური სკოლიოზის მქონე მოზარდებში, რამაც გამოიწვია ჩვენი ინტერესი.

ლიტერატურა

1. მოსული შეიძლი თ., ლორია მ., კოტეტი შეიძლი ბ. საქ. მეცნ. აკად. მაცნე. სერბოლ. A, 2011, 37, 71-74.
2. საგანგლიძე ბ., რუხაძე მ. დაუსრულებელი ოსტეოგენეზით დაავადებულ ბავშვთა საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის ფუნქციური მდგომარეობა და მისი

- ცვლილებები ფიზიკური რეაბილიტაციის პროცესში. ბიოლოგიისა და მედიცინის აქტუალური პრობლემები. შრომათა კრებ., თბილისი, 2005.
3. წევრავა დ., ლორია გ., რუხაძე გ., ოონათამიშვილი ნ., ხაბიძე ულის ი., ჩახავა ა., აგაზა შვილი ი. სკოლიოზური გენეზის თხელების დაურნალობის თავისებურებაზე. სამეცნიერო შრომათა კრებული, თბილისი, 1992, გვ. 132-135.
 4. წევრავა დ., ლორია გ., რუხაძე გ., ოონათამიშვილი ნ., ხაბიძე ულის ი. რაიტერაპიის ბიომექანიკა. სამეცნიერო შრომათა კრებული. თბილისი, 1992, გვ. 188-189.
 5. წევრავა დ., ლორია გ., რუხაძე გ. სისტემა „მხედარი-ცხენის“ ფიზიოლოგიური საფუძლები და ბიოფიზიკური მოდელი მის სრულყოფაში. საქ. ფიზიოლოგთა ურილობის მასალები. თბილისი, 1995. გვ. 212.
 6. Балинова А. История развития лечебной физкультуры и ее значение для профилактики нарушений осанки у детей. Материалы сборника конференции “Педиатрия на рубеже веков: проблемы, пути развития”. СПб., 2000, с. 245-246.
 7. Васильева Л.Ф. Визуальная диагностика нарушений статики и динамики опорно-двигательного аппарата человека. Иваново: МИК, 1996, с. 9.
 8. Васильева Л.Ф. Прикладная кинезология, 2002, 1, 53-56.
 9. Вейн А.М., Авруцкий М.Я. Мануальная медицина. М., 1997, с. 107-114.
 10. Воробьева Е.С., Цицкишвили Н.И. РАСМИРБИ, 2004, 3(12), 36-37.
 11. Голдырев А.Ю. Роль малой разновысотности нижних конечностей в генезе фронтальных искривлений позвоночника. Функциональные аспекты соматической патологии. Тез. докл. науч.конф., Омск, 2000, с. 17-19.
 12. Гитинов Г.М., Яхъяев Я.М., Алимирзоев М.А., Гитинов М.А. Актуальные вопросы детской травматологии и ортопедии. М., 2001, с. 234-235.
 13. Глок И., Ройтер У., Вальтер А. ЛФК и массаж. 2003, 4(7), 39-43.
 14. Губин А.В., Лозовский П.Е., Передереев С.С. Статические сколиозы на фоне разновысотности нижних конечностей у детей. Актуальные вопросы детской травматологии и ортопедии: Тез. докл. науч.-практ. конф. детских травматологов-ортопедов России. СПб., 2005, с. 93-94.
 15. Дмитриева Г.П., Назарова Р.Д. 30-летний опыт консервативного лечения диспластического сколиоза. Научная конференция: Вертебрология: проблемы, поиски, решения. М., 1998, с. 17-18.
 16. Ерёмушкин М.А. Массаж. Эстетика тела. 2005, 1, 39-42.
 17. Ионатанишвили Н.И., Лория М.Ш., Цверава Д.М., Авалиани Л.Н. Журнал Неврологии и психиатрии имени С.С. Корсакова, 2003, 103, 2, 25-27.
 18. Казьмин А.И., Кон И.И., Беленький В.Е. Сколиоз. М.: Медицина, 1981, с. 152.
 19. Каптелин А.Ф. Некоторые особенности комплексного консервативного лечения детей с декомпенсированной формой сколиоза. Материалы симпозиума “Сколиоз”. М., 1974, с. 77-81.
